ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 20 ივნისი, 2017

№144 (7379)

ფასი: 50 თეთრი

## სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლში“ სავალდებულო დაზღვევის ამოქმედებას არ იწონებენ




გვ.6

15 ივნისიდან

ფილიპ ჩესტერფილდი

## წერილები ჩემს ვაჟს

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




# „ოცნების“ გეგმა — მეფე პრეზიდენტის ნაცვლად





გვ.3

ხელისუფლება კონსტიტუციური მონარქიის აღდგენაზე პლებისციტის ჩატარებას გეგმავს

## რომან გოცირიძე: „კონსტიტუცია სოლოლაკის სასახლეში მიიღება“



გვ.2

## „გუბერნატორის ინსტიტუტი უნდა გააუქმდეს“

მარიამ ქელბაქიანი: „ასეთი უუფლებო სტრუქტურების შენახვაში მილიონების დახარჯვა უზნეობაა“



გვ.4

## „სოსო ოსორაულის ცოცხლად ჩამოყვანას ვინც ხელს შეუშლის, ქვეყნის მტერია“



გვ.4

## თემურ ჭყონია: „შეურაცხყოფას არ ვაყენებ ქართველ გლეხს, მაგრამ მან მოსავლის მოყვანა არ იცის“



გვ.4

## „ქალაქი ნარმანიას ანტიპოდი იქნება“



გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია საერთო კანდიდატზე რომც შეთანხმდეს, თბილისის მოგება გაუჭირდება“

ISSN 1987-9385

## გიორგი ანდრიაძე მეუფე პეტრესთან დებატებს ითხოვს



გვ.2

# რომან გოცირიძე: „კონსტიტუცია სოლოლაკის სასახლეში მიიღება“

ნონა ცაბაძე



ვენეციის კომისიამ დასკვნის გამოქვეყნება ოქტომბრამდე გადადო. ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ ეს ხელისუფლების ზეგავლენით მოხდა, რათა საზოგადოებამ არ გაიგოს, რომ დასკვნა უარყოფითია. ვენეციის კომისიის მდივანი კი აცხადებს, რომ კონსტიტუციის ახალ ვარიანტში არის საკითხები, რომლებიც მათთვის სერიოზულად დამაფიქრებელია.

რატომ გადაიდო ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის გამოქვეყნება, საით მიდის „ქართული ოცნება“, რატომ გადაიდო პროპორციული სისტემა 2024 წლამდე? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, **რომან გოცირიძე** პასუხობს.

***– ბატონო რომან, იყო მოლოდინი, რომ ამ დღეებში უნდა გამხდარიყო ცნობილი ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა. რატომ გადაიდო?***

– სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ამ პროცესში და იწვევს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს, რატომ გადაიდო ოქტომბრამდე?! ის, რომ ხელისუფლებამ ვენეციის კომისიას სთხოვა, რომ ეს დასკვნა გამოქვეყნდეს ოქტომბერში, ანუ მას შემდეგ, რაც ორი მოსმენით მიღებული იქნება კონსტიტუციის პროექტი პარლამენტში და მხოლოდ სარედაქციო ხასიათის ცვლილებები იქნება, სად იყოს წერტილი და სად მძიმე, ეს არის წარმოუდგენელი რამ! ვენეციის კომისიის ოფიციალური დასკვნა უნდა იყოს ახლავე, რათა მთელმა ქვეყანამ გაიგოს, თუ რა აზრი გააჩნიათ მათ ამ ყველაფერზე.

***– ითქვა, ხელისუფლებამ ვენეციის კომისია დააშანტაჟაო. აქვს „ოცნებას“ ის ბერკეტი, რომ ვენეციის კომისია დააშანტაჟოს?***

– მე არ ვიცი, რა მოტივით გადაიდო დასკვნის გამოქვეყნება. ცხადია, რომ ხელისუფლებამ შეძლო და ოქტომბრამდე გადაადებინა. ჩვენ ისედაც ვიცით ვენეციის კომისიის ის წერილი, რაც გამოაგზავნეს, შავი ვარიანტი დასკვნის. იქ თვალნათლივ არის მითითებული ყველა შენიშვნა.

***– შეგიძლიათ გამოყოთ მთავარი შენიშვნები?***

– ვენეციის კომისიის ორი ძირითადი შენიშვნა: პირველი ის, რომ დარჩენილი მანდატების გადანაწილების მექანიზმი არის ცუდი და უნდა შეიცვალოს და ხელისუფლებას სთავაზობს სამ სხვადასხვა ვარიანტს. ამ სამი ვარიანტიდან, ამ ხელისუფლებამ აირჩია მესამე ვარიანტი და ხმების გადანაწილების შემთხვევაში, მაქსიმალურად შესაძლებელია ზედა ზღვრის დაწესება. მათი აზრით, 89 მანდატზე მეტი არ უნდა აიღოს გამარჯვებულმა პარტიამ. ეს ფაქტობრივად იგივეა, რომ გამარჯვებულმა პარტიამ წაიღოს მთელი დარჩენილი ხმები.

***– ანუ მაინც მომგებიან სიტუაციაშია უმრავლესობა?***

– თუ ხმების 45%-ს აიღებს გამარჯვებული პარტია, რაც წარმოუდგენელია დღევანდელ პოლიტიკური ვითარებაში და გადასანაწილებელი დარჩება 15% ხმებისა, სწორედაც ეს 89 მანდატზე მეტი არ იქნება. რეალურად, ამ არითმეტიკით გაიმეორეს იგივე, რაც უნდოდათ თავიდან. ეს მექანიზმი ვენეციის კომისიის მიერ შეფასებულია, როგორც ცუდი.

***– პრეზიდენტის არჩევის წესზეც არის შენიშვნა?***

– პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევნებზე მათ არ უთქვამთ, რომ კარგია. ამ წესით საზოგადოებას იმის საშუალებასაც არ აძლევენ, რომ პრეზიდენტი იყოს უმცირესობიდან, არა, ბატონო, ის აუცილებლად უმრავლესობიდან უნდა იყოს. ორივე შემთხვევაში, ვენეციის კომისიის დასკვნა არის იმის მანიშნებელი, რომ ეს კონსტიტუცია სწორედაც რომ მორგებულია ერთი პარტიის საარჩევნო ინტერესებს და რომ ეს არის ცუდი! ეს თხოვნაც, რომ არ გამომზეურდეს დასკვნა ოქტომბრამდე, არის მიუღებელი. ბავშვმაც კი იცის, რომ პარლამენტში მესამე მოსმენა ეხება მხოლოდ რედაქციულ ხასიათს და ვერავითარი ცვლილებები მესამე მოსმენით ვერ შევა.

***– ანუ ჯერ დაამტკიცებენ და მერე გახდება ვენეციის დასკვნა ცნობილი?***

– დიახ, ორი მოსმენით პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუცია, რაც ფაქტობრივად მიღებას ნიშნავს. მესამე ნაწილი არის ფორმალური და რედაქციული ხასიათის და სწორედ ამ ფორმალური განხილვის დროს შეიძლება გამოამზეურონ ეს დასკვნა. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ხელისუფლებისთვის ვენეციის კომისიის დასკვნა არ არის მისაღები.

***– ვენეციის კომისიის მდივანი აცხადებს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ პროპორციულ სისტემას, თუმცა ჩვენ მოვისმინეთ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ 2024 წლამდე ვერ გადავლენ ამ სისტემაზე. რა უშლის ხელს? მაჟორიტარებმა შეაშინეს?***

– მაჟორიტარების პროტესტი იყო დადგმული სპექტაკლი, რათა ვენეციის კომისიისთვის ეთქვათ, რომ თუ თქვენ დაწერთ უარყოფით დასკვნას, მაშინ საერთოდ პროპორციული არჩევნები არ ჩატარდება საქართველოში, აი, ხომ ხედავთ, რომ მაჟორიტარებს ეს არ უნდათ, ამიტომ ჩვენ შიდა ბრძოლა მოგვიწევს და ეს შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი ფანდი ვენეციის კომისიაზე ზემოქმედებისა, თუმცა, როგორც ჩანს, ამან არ გაჭრა და ვენეციის კომისიის დასკვნა არის უარყოფითი.

რაც შეეხება იმას, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა მოხდეს 2020 წლის შემდეგ, ესეც უკვე არის ხალხის მოტყუება. ერთხელ უკვე მოატყუეს ხალხი ამ დაპირებით, ახლაც იგივეს აკეთებენ და ამის 2024 წლისთვის გადადება უნდათ. საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ ეს საკონსტიტუციო პროცესი ფარსად გადააქცია!

***– ანუ საბოლოოდ ცუდ კონსტიტუციას ვღებულობთ?***

– თუ ეს ამ ფორმით იქნა მიღებული, ეს ნიშნავს, რომ ამ ხელისუფლებას უნდა, შეინარჩუნოს ხელისუფლება, პრივილეგიები, 11 მილიარდი ბიუჯეტი, საიდანაც უტენდეროდ უამრავ ფულს ღებულობენ. საკუთარ ფირმებს აძლევენ ამ შეკვეთებს და მილიონები რჩებათ. მოკლედ, გაუტკბათ ხელისუფლებაში ყოფნა ყველანაირად. მაშინ, როცა არჩევნებიდან ჯერ ექვსი თვე გავიდა და ეს ხელისუფლება მთლიანად გაკოტრებულია.

ეს პარლამენტი იმდენად ოდიოზური ფიგურებისგან არის დაკომპლექტებული, რომ მონარქიის მიღებას სერიოზულად განიხილავენ. პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ დასხდებიან და ამ საკითხზე სერიოზულად დაილაპარაკებენ. მეფის აღდგენა უნდათ და მერე ამას ბატონყმობის აღდგენა მოჰყვება. შემდეგ თავადაზნაურობის. მერე ამ თავადაზნაურობას რომ თავიანთი მიწების დაბრუნება მოუნდებათ?! ამათმა იდარდონ, თორემ გოცირიძეები რაჭის აზნაურები იყვნენ და რამდენიმე სოფელი გვქონდა და 200-მდე ყმა-გლეხი. მაგრამ იმ ადამიანებს რა ვუყოთ, ვინც ამ მიწებზე ცხოვრობს?! ძალიან არასერიოზულია ეს ყველაფერი!

***– პარლამენტის თავმჯდომარემ დებატებში გამოიწვია პრეზიდენტი, თუმცა მარგველაშვილისგან უარი მიიღო. კობახიძე აცხადებს, პრეზიდენტი ჩიხშია შესული და ამიტომ თქვა უარი ჩემს შეთავაზებაზეო. რის დამტკიცებას ცდილობს კობახიძე?***

– ეს არის იმ მცდელობის გაგრძელება, რაც იყო საკონსტიტუციო განხილვებისას. ადამიანებს შეუქმნეს ილუზია, თითქოს ვინმეს ეკითხებოდნენ რაიმე აზრს. ხომ ხედავთ, ვითომ ხალხს დაეკითხნენ და 2020-შიც კი არ უნდათ პროპორციული წესით არჩევნების ჩატარება. უნდათ, რომ ამ პროცესში პრეზიდენტი ჩაითრიონ და საზოგადოებას აჩვენონ, თითქოს კონსტიტუცია ხალხთან და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან კონსულტაციებისა თუ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად მიიღება. სინამდვილეში კონსტიტუცია მიიღება სოლოლაკის სასახლეში. ხალხი ამ ყველაფერზე ადრე თუ გვიან იტყვის თავის სათქმელს.

# გიორგი ანდრიაძე მეუფე პეტრესთან დებატებს ითხოვს

„პატრიარქის ფონდის“ მმართველი საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით პირდაპირ ეთერს და დებატებს კიდევ ერთხელ ითხოვს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გიორგი ანდრიაძემ განუცხადა.



როგორც გიორგი ანდრიაძემ აღნიშნა, მზადაა დებატები გამართოს მეუფე პეტრესთან, ან მის წარმომადგენელთან, ადვოკატებთან ან საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან.

ანდრიაძის განცხადებით, ე.წ. ციანიდის საქმე „შეკერილია“, რადგან გამოძიებამ საქმე სასამართლოს ისე გადასცა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს ციანიდის შეძენის ფაქტი არ უდასტურდება. ანდრიაძის განმარტებით, ამ საქმის ფონზე ეკლესიის დისკრეტიდაცია მოხდა.

– ვთხოვდი ტელევიზიებს, რომ პირდაპირ ეთერში მოეწვიათ მეუფე პეტრე, ან მისი წარმომადგენელი, ადვოკატები ან ვინმე სხვა და გვემსჯელა ციანიდის საქმეზე. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ეს საქმე არის „ხაფანგი“ ეკლესიის წინააღმდეგ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ციანიდი ამ საქმეში არ ფიგურირებს ანუ, მამა გიორგის სასამართლოზე გამართლება ელოდება და ამის ფონზე მეუფე პეტრეს – გამარჯვება. გამოძიებამ საქმე სასამართლოს ისე გადასცა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის მიერ ციანიდის შეძენის ფაქტი ვერ დააფიქსირა. გამოდის, რომ საქმე „შეკერილია“. ჩანაწერებში ციანიდის გადაცემის ფაქტი არ დასტურდება. თუ საქართველოს სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძე არ გაამართლა, მაშინ მას ევროპის სასამართლო გაამართლებს, როგორც ეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში მოხდა, – განაცხადა ანდრიაძემ.

მისივე თქმით, ამ საკითხზე პირდაპირ ეთერს იგი ბოლო სამი თვის განმავლობაში არაერთხელ ითხოვდა.

# ირაკლი კობახიძე: „კონსტიტუციის გარშემო კონსენსუსი აუცილებლად შედგება“

– კონსტიტუციის გარშემო კონსენსუსი აუცილებლად შედგება, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან განუცხადა.

– კონსტიტუციის გარშემო კონსენსუსი აუცილებლად შედგება. თუ რა სახის იქნება კონსენსუსი, ეს გახდება ცნობილი უახლოესი დროის განმავლობაში, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, ცვლილებები, ბუნებრივია, იქნება, მათ შორის საკომიტეტო მოსმენების შედეგები აისახება კანონპროექტში. ასევე აისახება ვენეციის კომისიის რეკომენდაციები.

– ამ ყველაფრის გათვალისწინებით საბოლოო ჯამში გადასინჯული სახით იქნება წარმოდგენილი კანონპროექტი და ასეთი კუთხით გაგრძელდება მსჯელობა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# მაღალმთიანი დასახლებების ნუსხას 37 სოფელი დაემატება

მაღალმთიანი დასახლებების ნუსხას 37 სოფელი დაემატება და მომავალი წლიდან შესაბამისი სოციალური შეღავათებით კიდევ 7.000-მდე მოსახლე ისარგებლებს, – როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, 37 სოფლისთვის მთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების შუამდგომლობა დღეს მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ მოიწონა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომაზე საბჭოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს 3700 დასახლებიდან, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1678 დასახლებას, დაახლოებით, 45%-ს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საბჭომ იმსჯელა და მოიწონა დასახლებისთვის მაღალმთიანის სტატუსის მინიჭების მიზნით შემოსული 28 შუამდგომლობა, რომელიც საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. სხდომის მონაწილეებმა ასევე მხარი დაუჭირეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახელის ხეობის 9 სოფლისთვის სტატუსის მინიჭების შუამდგომლობას.



– მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ასევე ენიჭებათ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში შემავალ დასახლებებს მათი ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად, – ნათქვამია განცხადებაში.

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მორიგ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობის სხდომას წარედგინება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ გეგმა — მეფე პრეზიდენტის ნაცვლად

## ხელისუფლება კონსტიტუციური მონარქიის აღდგენაზე პლებისციტის ჩატარებას გეგმავს

შორენა მარსაგიშვილი

მაჟორიტარებთან ომში დამარცხებული „ქართული ოცნება“ კონსტიტუციური მონარქიის საკითხზე პლებისციტის ჩატარებას გეგმავს. ამ თემაზე მეოცნებენი პატრიარქის ქადაგების შემდეგ ალაპარაკდნენ.

კონსტიტუციური მონარქიის აღდგენასთან დაკავშირებით ილია II-მ საკვირაო ქადაგებაში ისაუბრა. აქამდე „ოცნება“ პატრიარქის მოწოდებების მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენდა, კონსტიტუციური მონარქიის ხსენების შემდეგ კი ლამის მთელი „ოცნება“ თავდაყირა დადგა.

ამ ინიციატივის განსახილველად დრო პარლამენტის სპიკერმაც კი გამონახა. არადა ირაკლი კობახიძეს ბოლო დროს საკონსტიტუციო ცვლილებების და პრეზიდენტთან კამათის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდა.

პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ, 19 ივნისს, პატრიარქთანაც მივიდა. შეხვედრის დაწყებამდე მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პატრიარქის ყველა წინადადება მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

პატრიარქის განცხადებების მნიშვნელობას მან ხაზი შეხვედრის დასრულების შემდეგაც გაუსვა. მის გარდა პატრიარქს უმრავლესობის კიდევ რამდენიმე დეპუტატი შეხვდა.

— საკონსტიტუციო მონარქიის შესახებ პატრიარქს შევხვდით. ვისაუბრეთ ამ განცხადების შინაარსზე, მიზანზე, ჩვენთვის პატრიარქის თითოეულ სიტყვას, თითოეულ მოწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თითოეულ ამ სიტყვასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ.



ყველა მმართველობის სისტემას თავისი უპირატესობები აქვს, მათ შორის კონსტიტუციურ მონარქიას აქვს თავისი სერიოზული უპირატესობა. პატრიარქმაც ბრძანა, რომ კონსტიტუციური მონარქია არის სიმშვიდის შემომტანი მმართველობის სისტემაში, პოლიტიკურ სისტემაში. კონსტიტუციურ მონარქიას თავისი სერიოზული პლუსი აქვს, — განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია არ გამორიცხავს, რომ ამ საკითხზე პლებისციტი ჩატარდება.

— ალბათ, შესაძლებელია პლებისციტის ჩატარებაც. ჩვენ მოსახლეობის გამოკითხვის არც ერთი ფორმა არ უნდა გამოვრიცხოთ. თუ ვსაუბრობთ მომავალში რაიმე ცვლილებაზე კონსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით, ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ყოველთვის ხალხი იღებს.

თუმცა ჯერ საუბარია, რომ ამისთვის შესაძლოა ღია დისკუსია დაიწყოს საზოგადოებამ, კარგად უნდა გაცნობიერდეს ეს იდეა თუ რას ნიშნავს და რა იგულისხმება. ეს იდეა ნამდვილად ღირს, რომ საზოგადოებაში იყოს მსჯელობა, — განაცხადა ბესელიამ.

ამ იდეას ემხრობა პარლამენტის სპიკერიც. კობახიძის თქმით, ასეთ პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით ფართოდ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა.

— მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მიღებული იყოს შესაბამისი გადაწყვეტილება, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

კონსტიტუციური მონარქიის მიმართ პოზიტიურად განეწყო მთავრობის მეთაურიც. გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ ეს საინტერესო იდეაა და მასზე მსჯელობა ღირს.



კონსტიტუციური მონარქიის შემოღების ინიციატივას ლამის ტაშის კვრით შეხვდა გოგა ხაინდრავა. ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულმა რეჟისორმა ერთი საინტერესო იდეაც გააჟღერა. ტვ პირველთან საუბარში მან არ გამორიცხა, რომ მეფე პრეზიდენტის ალტერნატივა გახდეს.

— მე გულმხურვალე მხარდამჭერი ვარ ამ ფორმის, თუ ქართველი საზოგადოება და ქართველი ხალხი პლებისტის სახით გამოთქვამს მზადყოფნას, რომ კონსტიტუციური მონარქია — მეფე კი არ მეფობს, არამედ არის მსაჯული, რომელიც წესით პრეზიდენტებს უნდა ჰქონოდათ და არ ასრულებდნენ და მეფობას ცდილობდნენ, ეს იქნება ძალიან გონივრული და სერიოზული ნაბიჯი ქართველი საზოგადოებისთვის... რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ინსტიტუტის ალტერნატივაა კონსტიტუციური მონარქია და საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა და საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს, — აცხადებს ხაინდრავა.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას ეჭვის თვალით უყურებს ოპოზიცია.

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დეპუტატი ნინო გოგუაძე ამ იდეას გაუმართლებელს და პოპულისტურს უწოდებს.

ნინო გოგუაძეს ისიც აეჭვებს, რომ ამ თემაზე საუბარი საეჭვოდ დაემთხვა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას. როგორც გოგუაძე პირველ რადიოსთან საუბარში ამბობს, ამ იდეით პატრიარქი წლების წინ გამოვიდა. თუმცა „ოცნებას“ ამ საკითხზე რეაქცია აქამდე არ ჰქონია.

კონსტიტუციური მონარქიის აღდგენაზე პირველი საჯარო განცხადება პატრიარქმა 2007 წელს გააკეთა. მაშინ ამ საკითხს ოპოზიცია უჭერდა მხარს, ხელისუფლება კი წინააღმდეგი იყო.



ახლა როლები შეცვლილია. ნინო გოგუაძე ეჭვობს, რომ ხელისუფლებას რაღაც აქვს ჩაფიქრებული.

— პატრიარქის ეს მოსაზრება ყველამ იცის. ჯერ კიდევ 10 წლის წინ თქვა მან ამის შესახებ. რაც შეეხება „ოცნების“ დეპუტატების კომენტარებს, ჩემი აზრით, არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო, ფარისევლური და ყალბი პოპულისტური კომენტარები, რაც სამარცხვინოა დეპუტატებისთვის.

ამდენი ხანია „ოცნება“ მუშაობს კონსტიტუციაზე, რომლის მიხედვით საკონსტიტუციო მონარქია არც კი უხსენებია და ახლა პატრიარქის წინადადების შემდეგ, დაეწყნენ მწყობრში და ყველა ლაპარაკობს, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ წინადადებას. რაც, რა თქმა უნდა, ასე არ არის, — ამბობს გოგუაძე.

ის ამბობს, რომ თავისუფალი დემოკრატები მონარქიის აღდგენას მხარს არ დაუჭერენ.

— ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, ყოველთვის ვიყავით საპრეზიდენტო მოწყობის მომხრე, რაც შეეხება მონარქიას, არა მგონია, რომ საქართველოში, სადაც ამდენი საუკუნეა მეფის ინსტიტუტი არ გვქონია, ასე ხელოვნურად შემოღება არის აბსოლუტურად გაუმართლებელი, ძალიან პოპულისტური და უპასუხისმგებლო მმართველი პარტიის მხრიდან, — აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

იდეა არც „ევროპულ საქართველოს“ მოსწონს. მისი ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა ჟურნალისტებთან საუბარში იმაზე ჩივის, რომ მეფის შენახვას მილიონები დასჭირდება.

— 10-15 მილიონი დასჭირდება ამ წმინდა ოჯახის შენახვას და, როდესაც ამდენი სოციალური დაუცველია, რაღაც ქულების გამო ართმევენ 50-ლარიან დახმარებას, ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ასეთი მზარდი ხარჯის შემოღება არის ამორალური.

ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ და ეს კონსტიტუცია, რომელსაც კობახიძე გვაჩეჩებს, ვერ პასუხობს. მონარქია მმართველობის წარსული ფორმაა. იმ ქვეყნებში, სადაც ეს არის დარჩენილი, ეს ქვეყნები სხვადასხვა ეტაპზე იყვნენ იმპერიები და მეფის სახელი მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურია, — ამბობს უგულავა.



ის იმ პრობლემებზეც საუბრობს, რაც საქართველოს დღეს აქვს. მისი აზრით, ქვეყნისთვის ყველაზე დიდი საფრთხე ივანიშვილის არაფორმალური მმართველობაა.

— საქართველოს დღეს აქვს ძალიან სერიოზული პრობლემა, ეს არის არაფორმალური მმართველობა ანუ ადამიანი, რომელსაც არანაირი სტატუსი არ აქვს და მართავს ყველაფერს. დღევანდელი პრობლემიდან უნდა გამოვიდეთ, ამას ვერც მეფე უშველის, ვერც კონსტიტუციური მონარქი, ვერც აბსოლუტური მონარქი, ვერც ამირსპასალარი და ვერც სხვა დანარჩენი, რაც არ უნდა დაარქვათ სახელი.

პრობლემა არის ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა. ასეთ რამეს ვერ და არ უნდა აკეთებდეს მთავრობა, თუ ამაზე წავლენ და საზოგადოებას არაფერს არ ჰკითხავენ იმის გამო, რომ კობახიძეს და ივანიშვილს არ მოსწონთ დღევანდელი პრეზიდენტი და ჯირყვნიან ამ პრეზიდენტს, ახლა საერთოდ მეფით ჩანაცვლებაზე ლაპარაკობენ, ეს უკვე აბსურდის თეატრიც აღარ არის.

ამ უმრავლესობიდან ყველაფერია მოსალოდნელი. ეს უმრავლესობა აბსოლუტურად იმპულსურად მოქმედებს, როდესაც მიწის გაყიდვა აკრძალეს, აბსოლუტურად არ უფიქრიათ გლეხებზე; როდესაც ოჯახის დარეგულირებაზე ლაპარაკობენ, თითქოს აქამდე არ ვიცოდით, რას ნიშნავდა ოჯახი; ეს ხალხი რაღაც გამოგონილ თემებს იგონებენ და შემდეგ ამ თემის კულტივაციას ახდენენ და მერე ამ თემას აჩეჩებენ ხალხს, როგორც რაღაცის მიღწევას, — განაცხადა თბილისის ყოფილმა მერმა.

პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“, რომელსაც რელიგიური მისწრაფებებიც აღმოაჩნდა, მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მონარქიის თემით საკონსტიტუციო ცვლილებებისგან ყურადღების გადატანას ცდილობს. ამის თქმის საბაბს მათ მეოცნებეთა მყისიერი რეაქცია აძლევს.

გირჩელების აზრით, 21-ე საუკუნეში მიზანშეწონილი არაა, რადგან ეს წყობა იყო ბნელი და უსამართლო პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში.

— მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრისგან მონარქიის აღდგენის შესახებ ხშირად გვესმის. მოსაზრების ქონისა და თავისუფალი გამოხატვის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და ყურადღების მიპყრობა ერთ-ერთი კონფესიის წარმომადგენლის განცხადებაზე იქნებოდა უადგილო, რომ არა ხელისუფლების წარმომადგენლების რეაქცია.

ჩვენ არ შევდივართ მონარქიის მიზანშეწონილობის განხილვაშიც კი. მიგვაჩნია, რომ მონარქია არის კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი და უსამართლო პერიოდი. პერიოდი, რომლის დროსაც ქვეყნის ყველაზე ძლიერი ოჯახი, რელიგიურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობითა და ხელშეწყობით, ხალხს უსაფუძვლოდ პრივილეგირებული კასტების არსებობის სამართლიანობაში არწმუნებდა.

ჩვენ შვილებს ვასწავლით, რომ საკუთარი ცხოვრების მეფეები თავად არიან. მომავალში ყველაფერი მათ შრომაზე, ნიჭსა და მონდომებაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ ვერ და არ ავუხსნით ჩვენს შვილებს, რომ თურმე ადამიანები შეიძლება მეფეებად და ქვეშევრდომებად იყოფოდნენ და აქამდე ჩვენ ეს არ ვიცოდით, — ნათქვამია „გირჩის“ განცხადებაში.

მათ ირაკლი კობახიძის პოზიციაც ჩაააანალიზეს და ასეთი დასკვნა გააკეთეს:

— პარლამენტის თავმჯდომარემ ჯერ ახალ კონსტიტუციაზე მომუშავე საკონსტიტუციო კომისიას უხელმძღვანელა წარმატებით, შემდეგ კონსტიტუციაში ჩასაწერი პოპულისტური და მავნე ინიციატივების გრძელი სიით ხელში, ოპოზიციასთან ერთად, ქვეყანა სახალხო განხილვების მოსაწყობად შემოიარა, პროექტი „გასაპრავებლად“ ვენეციის კომისიას გაუგზავნა და ისე, რომ ჯანი ბუკიკიოს დასკვნას გაციება არ აცადა, გამოაცხადა: მონარქიის აღდგენის შესახებ განცხადება ჭეშმარიტებააო. რაც ნიშნავს იმას, რომ დასაწერია ახალი კონსტიტუცია.

გვაქვს ეჭვი, რომ ხელისუფლებისთვის შეუძლებელია კონსტიტუციაში შესატანი მავნე და პოპულისტური ცვლილებების საჯაროდ არგუმენტირება, რაც მისთვის პროცესის პოლიტიკურ ფასს ყოველდღიურად ზრდის. ამ ფონზე ქვეყანაში მონარქიის დამყარების შესაძლებლობაზე ყურადღების გადატანას შეუძლია ხალხში იუმორის ნიაღვარი გამოიწვიოს და მათ კონსტიტუციის პროექტით დაგეგმილი საარჩევნო სისტემის ხელისუფლებაზე მორგება, მიწის ექსპროპრიაცია, გადასახადების შეუჩერებელი ზრდის თუ ადამიანის უფლებების შელახვის ახალი შესაძლებლობები დაავიწყოს.

# „გუბერნატორის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს“

## მარიამ ქელბაქიანი: „ასეთი უუფლებო სტრუქტურების შენახვაში მილიონების დახარჯვა უზნეობაა“

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოში უკვე წლებია საუბრობენ სამხარეო ადმინისტრაციების გაუქმების აუცილებლობაზე. ექსპერტები და პოლიტიკოსები თანხმდებიან, რომ უფუნქციო სტრუქტურული ერთეულები არაფერს აკეთებენ, სახელმწიფოს კი მათი შენახვა ძვირი უჯდება.

2016 წელს და მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში სამხარეო ადმინისტრაციაში დასაქმებულებზე მილიონ ლარზე მეტი პრემია-დანამატი გაიცა. მაჩვენებელი ალბათ 2 მილიონამდე ავიდოდა, ინფორმაციის გასაჯაროებაზე 3 გუბერნიას უარი რომ არ ეთქვა.

– პრემია-დანამატების შესახებ ინფორმაციების მოძიება ძალიან გაგვიჭირდა. გუბერნიებში ათას მიზეზს იგონებდნენ იმისთვის, რომ ჩვენთვის საჯარო ინფორმაცია არ მოეცათ. საბოლოო ჯამში, მხოლოდ 5 გუბერნიიდან მივიღეთ პასუხი. კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციებმა პრემია-დანამატების შესახებ ინფორმაცია დამალეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ ანტიკორუფციული ბიუროს წევრმა მარიამ ქელბაქიანმა.

მისი თქმით, 2016 წლისა და 2017 წლის 4 თვეში 5 გუბერნიაში მხოლოდ პრემია-დანამატის სახით 1.063.486 ლარი გაიცა.

მარიამ ქელბაქიანი ვარაუდობს, რომ ამ 5 გუბერნიის შენახვა ბიუჯეტს გაცილებით ძვირი დაუჯდა. გუბერნიაში დასაქმებულებს მილიონებს არაფრის კეთებაში უხდიან.

– ყველამ კარგად ვიცით, რომ გუბერნიებში ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან დასაქმებული. ეს თანხა ბიუჯეტიდან სრულიად არაეფექტურად არის გახარჯული, ვინაიდან გუბერნიები და მათი გუბერნატორები არაფრის კეთებაში იღებენ მილიონობით ლარს.

ჩვენ კვლევაში საუბარი გვაქვს მხოლოდ პრემია-დანამატზე და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამას თუ დავუმატებთ მათ თანამდებობრივ სარგოს, თანხა მინიმუმ გაორმაგდება, – ამბობს მარიამ ქელბაქიანი.

ანტიკორუფციული ბიუროს წევრი მიიჩნევს, რომ საქართველოში გუბერნატორის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს.

ის იხსენებს ხელისუფლების ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებას, როცა 7 ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი გააუქმეს, რაც საბიუჯეტო სახსრების დაზოგვით ახსნეს.

– ამ ქალაქებისთვის თვითმმართველი სტატუსის გაუქმება რეალურად სულ სხვა მიზეზით მოხდა, მაგრამ ხელისუფლებამ ეს საბიუჯეტო თანხების დაზოგვით ახსნა. დღეს ჩვენი ქვეყანა მართლაც მძიმე მდგომარეობაშია და საბიუჯეტო სახსრებს დაზოგვა ნამდვილად სჭირდება. ოღონდ ეს თვითმმართველი ქალაქებისთვის სტატუსის გაუქმების ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

„ქართულ ოცნებას“ საბიუჯეტო თანხების ოპტიმიზაცია თუ სურს, პირველ რიგში, სწორედ გუბერნიები უნდა გააუქმოს, ვინაიდან მათ არ აქვთ არანაირი უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების უფლება. ასეთი უუფლებო სტრუქტურების შენახვაში მილიონების დახარჯვა უზნეობაა იმ ფონზე, როცა ათეულობით ათასი ჩვენი მოქალაქე სიღატაკის ზღვარს მიღმაა და მათი რიცხვი ყოველდღე მატულობს, – აცხადებს ქელბაქიანი.

მისივე თქმით, ბიუჯეტს ასევე ძვირი უჯდება სამინისტროების და დედაქალაქის მერიის შიდა აუდიტის სამსახურების შენახვა.

ქელბაქიანის ინფორმაციით, 9 სამინისტროს და დედაქალაქის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დანახარჯმა 15 თვეში 4.279.788 ლარი შეადგინა. ის მიიჩნევს. რომ შიდა აუდიტის სამსახურები გასაუქმებელია.

– აუცილებლად უნდა გაუქმდეს ყველა სამინისტროს და დედაქალაქის მერიის შიდა აუდიტი, გამოცხადდეს ტენდერი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული კომპანიებისთვის, რაც გამორიცხავს ზედმეტი თანხების ფლანგვას და ასევე იქნება იმის გარანტი, რომ საქმე წარიმართება ობიექტურად და დამოუკიდებლად, – მიიჩნევს ანტიკორუფციული ბიუროს წევრი.

მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საზოგადოებას კიდევ ერთი საინტერესო კვლევა ელოდება. ანტიკორუფციული ბიურო ახლა სამინისტროების და თბილისის მერიის სამსახურებრივ მანქანებს ითვლის.

# „სოსო ოსორაულის ცოცხლად ჩამოყვანას ვინც ხელს შეუშლის, ქვეყნის მტერია“

გულიკო ბალაძე

ბოლო დროს არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია კონგოში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი მფრინავის, პოლკოვნიკ იოსებ ოსორაულის შესაძლო დაღუპვის თაობაზე. ინფორმაციის გამავრცელებელთა შორის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც იყო. თუმცა, გარკვეული წყაროები მაშინვე უარყოფდნენ ხოლმე ინფორმაციას.

ამჯერად, კონგოელ ამბოხებულთა ლიდერთან ტელეკომპანია „იმედმა“ ჩაწერა ინტერვიუ, რომელიც აცხადებს, რომ ქართველი მფრინავი იოსებ ოსორაული 13-14 მაისს, კონგოს ხელისუფლების მიერ მოწყობილი ოპერაციის მოგერიებისას დაიღუპა.

მთელი ამ დროის განმავლობაში აპელირება ხდებოდა გადასახდელ მილიონ დოლარზე, რომელსაც თითქოსდა ქართველი მფრინავის გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდა ის დაჯგუფება, რომელსაც ტყვედ ჰყავდა აყვანილი პოლკოვნიკი. თუმცა, ახლა „იმედთან“ ინტერვიუში დაჯგუფების ლიდერი აცხადებს, რომ თურმე მილიონ დოლარზე ლაპარაკი არ ყოფილა.

– ჩვენ არ ვართ კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც ფულს ითხოვს მოქალაქის გასათავისუფლებლად. მოლაპარაკებებში თქვენი მთავრობის წარმომადგენლებთან ხაზგასმით განვმარტეთ, რომ ჩვენ ფულს არ ვითხოვდით, – განაცხადა დაჯგუფების ლიდერმა ბეტრან ბისიმვამ.

როგორც ბეტრან ბისიმვას განცხადებიდან ირკვევა, გარკვეული მოლაპარაკებები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ტყვედ ჩავარდნილი მფრინავის გათავისუფლებაზე ყოფილა, მაგრამ რატომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, უცნობია.

– ერთადერთი, თქვენი ხელისუფლებისგან ვითხოვდით, მას შემდეგ, რაც წაიყვანდნენ თქვენს მოქალაქეს, არ მიეცათ მისთვის კონგოში კონგოელი მოქალაქეების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოსვლის უფლება, – განაცხადა „იმედის კვირასთან“ ინტერვიუში ბერტრან ბისიმვამ.

სწორედ კონგოელ ამბოხებულთა ლიდერი ბეტრან ბისიმვა ინტერვიუში ამბობს, რომ ჩვენი მოქალაქე დაიღუპა.

– თქვენი მოქალაქე 2017 წლის 13 ან 14 მაისს დაიღუპა. როცა ის თქვენი მოქალაქისთვის უნდა გადაგვეცა, კონგოს სამთავრობო ჯარი თავს მოულოდნელად დაგვესხა. ჩვენ თქვენი მოქალაქის ევაკუაციისთვის ვემზადებოდით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციისთვის უნდა გადაგვეცა.



ამ დროს კონგოს ხელისუფლებამ განახორციელა ეს ოპერაცია, რა დროსაც თქვენი მოქალაქე დაიღუპა. ამ შეტაკებისას ჩვენი 6 მებრძოლიც დაიღუპა, რომლებიც თქვენი მოქალაქის უსაფრთხოებას იცავდნენ, – აცხადებს ამბოხებულთა ლიდერი.



შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერი დავით ნემსაძე ამჯერადაც უარყოფს იოსებ ოსორაულის დაღუპვას და ტელეკომპანია „იმედს“ აკრიტიკებს.

– საერთოდ, არ გაინტერესებთ თქვენი დამსახურებული მოქალაქის ბედი. სად იყავით ორი თვის წინ ან სამი თვის წინ? რატომ არ იღებდით ხმას? ახლა გაგახსენდათ პოლკოვნიკი ოსორაული? მაშინ რატომ არ დაუკავშირდით 23 მარტის მოძრაობის ლიდერ მისიმვას? ახლა, როცა მოლაპარაკებები იმ ფაზაშია, საუბარი, უბრალოდ, არ ვარგა, დაიწყეთ რეიტინგზე ზრუნვა, რაღაც განსხვავებულის ძიებაში. როცა ეს საქმე აგორდა, თქვენმა არხმა მოამზადა რაღაც გაუგებარი რეპორტაჟი. ეს იმიტომ მოგდით, რომ ჩემს ქვეყანაში სამხედრო ჟურნალისტიკა მკვდარია. სამხედრო თემა სოფლის მეურნეობის ბაღ-ვენახებში გეშლებათ. დღეს ისეთი უპატიებელი სიშტერე გააშუქეთ, რაც დღემდე არ გაკეთებულა სოსოს დასაბრუნებლად, უფსკრულის პირას დააყენეთ, – წერს დავით ნემსაძე თავის ფეისბუქგვერდზე.

დავით ნემსაძეც აცხადებს, რომ იოსებ ოსორაულთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში იყო შესული. თუმცა, რასთან გვაქვს საქმე, ამის თაობაზე დავით ნემსაზე ღიად საუბარს ერიდება.

– არ შემიძლია ყველაფრის საუბარი, მიზანმიმართულად გავეთიშე საგარეო უწყების კრიტიკას. ამას აქვს საოცრად ობიექტური მიზეზი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, პოლკოვნიკი სოსო ოსორაული არის ცოცხალი, ნახევარი საათის წინ გადავამოწმეთ ეს ინფორმაცია და, მას რომ რამე დაემართოს, თქვენი ჭარტალა ენის შედეგი იქნება, რომელიც დიდი ალბათობით რომელიმე პოლიტგუნდის წისქვილზე წყლის დასხმით არის მოტივირებული, – წერს 18 ივნისს 20 საათისთვის თავის პოსტში დავით ნემსაძე.

დავით ნემსაძე ამ თემას სენსიტიურად მიიჩნევს, რომელზეც საუბარი არ შეიძლება და ირწმუნება, რომ იოსებ ოსორაულს ვნახავთ დაბრუნებულს.

– ეს საქმე არის საოცრად სენსიტიური. აქ ბევრი საუბარი უკვე არ შეიძლება. იქნებ როგორმე დავიცხროთ ჩვენი ცნობისმოყვარეობა. რაც შეეხება იმ ტელევიზიებს, რომლებიც ახლა სახეს იხოკავენ პოლკოვნიკ ოსორაულის თემით, თავის დროზე მისი სიცოცხლე ფეხზე ეკიდათ.

მე თქვენ გპირდებით, როგორც კი პოლკოვნიკი თბილისის აეროპორტში ფეხს დაადგამს, მე გაგისაჯაროებთ ყველა მიმოწერას, ყველა აუდიო საუბარს და ყველა ფაქტს, როგორ გთხოვდით სოსოს თემის პუბლიცირებას და როგორ გეკიდათ ფეხებზე.

მე პოლიტიკოსი არ ვარ და ჩემს პიარზე არ ვმუშაობ, არავისი არ მეშინია. ასე რომ, ყველა დაინახავს თქვენს „ობიექტურ ჟურნალისტიკას“ და თქვენ დარჩებით საზოგადოების ყბაში, – ნათქვამია დავით ნემსაძის განცხადებაში.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, იმ ხნის განმავლობაში, რაც პოლკოვნიკი იოსებ ოსორაული ტყვედ არის ჩავარდნილი, ოჯახი რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტელევიზიით მოვისმინე იოსებ ოსორაულის მეუღლის კომენტარი, რომელმაც ცხედრის გადმოცემა მოითხოვა.

**დავით ნემსაზე იოსებ ოსორაულის ოჯახის წევრებს მოუწოდებს:**

– უმორჩილესად ვთხოვ პოლკოვნიკ სოსო ოსორაულის ოჯახის წევრებს, ტენდენციურ მედიას ნუ მისცემენ ინტერვიუს და ნუ დაადგმევინებენ შოუს მათი გაჭირვებისგან, რადგან სოსოს გაჭირვება ვიღაცისთვის არის საინფორმაციო პროდუქტი, ვიღაცისთვის კი პოლიტიკური მასალა.

დავით ნემსაძის განცხადებით, იოსებ ოსორაულის ცოცხლად ჩამოყვანას ვინც ხელს შეუშლის, ქვეყნის და ქართველი საზოგადოების მტერია.

– ისეთი სიტუაციაა, მომწონს თუ არ მომწონს, ამ ეტაპზე მე ვემიჯნები საგარეო საქმეთა სამინისტროს კრიტიკას. მათ კი მოუწოდებ, საერთოდ ნუ გააკეთებენ კომენტარს. გააგრძელონ იმ ტემპში მუშაობა, როგორც ვიწრო წრემ ვიცით ამის შესახებ, რასაც უკვე აკეთებენ. ვერავინ იყიდის დავით ნემსაძეს. ყველას დაურიგდება თავისი სათქმელი, როცა პოლკოვნიკი აქ ჩამოვა. ვერავინ დამასწრებს ვინმეს კრიტიკას და მუჭის გაქნევას, მაგრამ ახლა ზედმეტის საუბარი არ ვარგა. სოსოს ცოცხლად ჩამოყვანას ვინც ხელს შეუშლის, ის ქვეყნის და ქართული საზოგადოების მტერია, – აცხადებს დავით ნემსაძე.

# თემურ ჭყონია: „შეურაცხყოფას არ ვაყენებ ქართველ გლეხს, მაგრამ მან მოსავლის მოყვანა არ იცის“

– მიდგომა, რომელიც გულისხმობს, რომ მიწები უცხოელებზე არ უნდა გავასხვისოთ, პოპულისტურია და მას ეკონომიკური გათვლები არ სდევს, – ასე აფასებს ბიზნესმენი თემურ ჭყონია მიწების უცხოელებზე გასხვისების აკრძალვის საკითხს.

– ადამიანი ჩამოდის და გეუბნება, რომ შენს მიწაზე მას შეუძლია რამდენიმე ტონა მოსავლის მოყვანა და შენ მას უარს ეუბნები? მეორე მხარეს რა გაქვს? ქართველი უცოდინარი ფერმერი. შეურაცხყოფას არ ვაყენებ ქართველ გლეხს, მაგრამ მან მოსავლის მოყვანა არ იცის. გადავყევით ამ ჭოპორტის პომიდორს და ორ ცალს ისხამს.

შევედით ევროკავშირში, უვიზო რეჟიმში და გვინდა, რომ მე-17 საუკუნის ტრადიციებზე დავრჩეთ? ტრადიციები ცუდი არაა, მაგრამ ის კულტურაში უნდა იყოს გადაზრდილი და არა ეკონომიკაში. დავიცვათ ჩვენი ტრადიციები და მეობა, ამას არ ვეწინააღმდეგები, მაგრამ ხალხს სხვა რამე სჭირდება. თურქეთიდან შემოდის სოფლის მეურნეობის 70% საქართველოში – რატომ? არ შეუძლია ამ ხალხს.

ახალგაზრდებს თბილისში უნდათ ცხოვრება. ჩვენ გვინდა, რომ ეს მიწა შევუნახოთ მომავალ თაობას და ეს მომავალი თაობა არ გვყავს, მთელი უბედურება ამაშია. არ გვყავს ის თაობა, რომელიც იტყვის, რომ მომეცით 50 ჰექტარი და ამაზე მოვიყვან მოსავალს, მაშინ, კი ბატონო, არ მისცე სხვას და აჩუქე შენსას, – აცხადებს თემურ ჭყონია.



# „კალაძე ნარმანიას ანტიპოდი იქნება“

## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია საერთო კანდიდატზე რომც შეთანხმდეს, თბილისის მოგება გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის მერის არჩევნებზე და სავარაუდო კანდიდატების შანსებზე საუბრობს.

***— ბატონო რამაზ, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ თბილისის მერის არჩევნებზე თუ ოპოზიცია საერთო კანდიდატზე შეთანხმდება, ის მზად არის, ამ კანდიდატს დაუჭიროს მხარი. რამდენად შეძლებს ოპოზიცია, საერთო კანდიდატი დაუპირისპიროს სახელისუფლო კანდიდატს?***

— ეს ძალიან რთულად შესასრულებელი ამოცანა იქნება. ოპოზიცია იმდენად ჭრელია, რომ ალბათ ძალიან რთული იქნება მსგავსი შეთანხმების მიღწევა. ზოგადად ოპოზიციამ უნდა გადახედოს თავის მიზნებს, რა არის მისი მიზანი — იყოს ასეთი, როგორიც დღეს არის, თუ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს.



***— დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია, შეიძლება საკონსტიტუციო ცვლილებებმა გააძლიეროს ოპოზიცია?***

— ხელისუფლება ამბობს, რომ სწორედ აქეთკენ არის მიმართული ეს ცვლილებები. რეალურად რაღაც მოქმედებაა საჭირო, რადგან დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია. ეს არ არის კარგი ქვეყნისთვის, ძლიერი ოპოზიცია ყველა ხელისუფლებას სჭირდება.

***— საერთო კანდიდატზე თუ შეთანხმდა ოპოზიცია, რა შანსები აქვთ?***

— თუ ოპოზიცია შეთანხმებას მოახერხებს, მაშინ ბრძოლა გაცილებით საინტერესო იქნება და მეტი აზრი მიეცემა ამ არჩევნებს. შეთანხმების ფაქტიც უფრო დასაფასებელი იქნება. თუმცა, ოპოზიციამ რომც მოახერხოს საერთო კანდიდატზე შეთანხმება, ოპოზიციის რეიტინგიდან გამომდინარე არა მგონია, რომ ასეთი შეთანხმება გამარჯვების გარანტია გახდეს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ძალიან დისკრედიტირებულია ოპოზიცია, ყველა გამოქვეყნებული რეიტინგი ამაზე მეტყველებს, ამიტომ მათი შეკრება არ იქნება გამარჯვების საწინდარი.



***— პოლიტიკაში დაბრუნდა კახა შარტავა, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ის დაასახელოს დავით უსუფაშვილმა, ეს საერთო კანდიდატი შარტავა რომ იყოს?***

— კახა შარტავას პოლიტიკაში დაბრუნებას მივესალმები. ის კარგი ფიგურაა და მხოლოდ პოზიტიურის თქმა შემიძლია მასზე, როგორც ადამიანზე, კახა შარტავას არაერთგზის დაუმტკიცებია, რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებს, მოქალაქეობრივი პოზიციები ხშირად იგრძნობა მის მოქმედებებში. ასევე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ის არ არის გასვრილი.

***— შანსები?***

— ჩემი პროგნოზით, მისი შანსები მერის არჩევნებზე უფრო ნაკლებია. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები სხვა ტიპის მენეჯერს ირჩევენ ხოლმე ასეთ პოზიციაზე.

***— დამოუკიდებელ კანდიდატებს უფრო დიდი შანსი აქვთ?***

— დიახ. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ პარტიები, როგორც ასეთი, დისკრედიტებულია, მათ არ აქვთ ნდობა ამომრჩევლებში. თუმცა, დამოუკიდებელი კანდიდატის წინ სხვა სირთულეებია. არჩევნებს სერიოზული ორგანიზება სჭირდება, ასეთი მარტივი არ არის არჩევნებში მონაწილეობა ყოველგვარი ზურგის გარეშე. დამოუკიდებელ კანდიდატს მოუწევს უფრო მეტი შრომა, უფრო მეტი ენერგიის დახარჯვა, თუნდაც პიარის კუთხითაც, რადგან პარტიის კანდიდატი ცნობილია, ვის წარმოადგენს, როგორი პლატფორმა აქვს ამ პარტიას, მაგრამ დამოუკიდებელი კანდიდატი საზოგადოებისთვის, ამომრჩევლისთვის ასეთი ცნობილი არ არის.

***— თუმცა, ამომრჩევლები დიდ ყურადღებას არ აქცევენ პარტიის პლატფორმას, იდეოლოგიას.***

— სწორი შენიშვნაა. ეს სერიოზული პრობლემაა და ასეთი არჩევანი რომ გააკეთოს ჩვენმა ამომრჩეველმა, მაშინ პარტიული კულტურაც და სისტემაც გაცილებით სხვა დონეზე უნდა იყოს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ამომრჩევლებისთვის უფრო ცნობილი ხდება ბევრი რამ ამა თუ იმ პარტიის დასახელების ქვეშ.

***— ხელისუფლება კახა კალაძეზე ამბობს, რომ უალტერნატივო კანდიდატია. რატომ არის ხელისუფლება ასეთი დარწმუნებული, მას შემდეგ, რაც ნარმანიამ არ გაამართლა და თბილისელები სახელისუფლო კანდიდატის მერობით მოხიბლულები არ არიან?***

— დავით ნარმანია რჩება შესანიშნავ ეკონომისტად, სტუდენტები დღემდე შეყვარებულები არიან მასზე, აკადემიური პიროვნებაა, მაგრამ თბილისის მერობა ძალიან დიდი ტვირთია როგორც ორგანიზაციული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. საუბარია მილიონნახევრიანი ქალაქის მერობაზე, რაც ნამდვილად არ არის მარტივი საქმე. თუმცა, უამრავი მაგალითის დასახელება შემიძლია, როდესაც აკადემიური სფეროდან წასულა ადამიანი და შესანიშნავი მენეჯერული თვისებები გამოუვლენია. ნარმანიას ეს უნარები ნაკლებად აღმოაჩნდა.

რაც შეეხება კალაძეს, აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

***— რითი არის განსხვავებული?***

— კალაძე ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, ფიგურაა დღევანდელ მთავრობაში, რომელიც თავის შეხედულებებს, პოზიციებს დამოუკიდებლად აყალიბებს და ახმოვანებს, მას აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ჩრდილი კი არ არის, არამედ მართავს, გადაწყვეტილებებს იღებს. კალაძემ, როგორც მინისტრმა, დაადასტურა თუნდაც რუსებთან მოლაპარაკებებში, რომ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ესაუბროს თუნდაც რუსებს.

***— თუმცა, იმ მოლაპარაკებების შედეგი არ იყო ჩვენთვის სახარბიელო.***

— მან გააახანგრძლივა ეს მოლაპარაკებები და გარკვეული დივიდენდი მიიღო აქედან ჩვენმა ქვეყანამ. მაქსიმუმი გააკეთა. ბევრი მომენტი არის კალაძის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში, თუ პიროვნულში, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ ვთქვათ — კალაძე მერი ბევრად უფრო დამოუკიდებელი, უფრო აქტიური იქნება, ვიდრე ნარმანია იყო. მეტიც, შემიძლია გითხრათ, რომ კალაძე ნარმანიას ანტიპოდი იქნება.

კალაძეს არ უდგას ცნობადობის პრობლემა, ნარმანია კი მაშინ გაიცნო თბილისმა, როდესაც კანდიდატად დასახელდა. მინისტრის პორტფელი კი ჰქონდა, მაგრამ ნაკლებად ცნობადი იყო, თვალშისაცემი არ იყო. ის, რაზეც ახლა მე აქცენტებს ვაკეთებ, არ არის არჩევნებში პატარა რამ, ამ ყველაფერს თავისი დატვირთვა აქვს პიარის თვალსაზრისით. ცნობადობა მნიშვნელოვანი ფაქტორია არჩევნებში ამ პრობლემის წინაშე კალაძე ნამდვილად არ იდგება, როგორც თავის დროზე ნარმანია იდგა.

***— მილიონნახევრიანი ქალაქის მიერ პირდაპირი წესით არჩეული პირის პოლიტიკური ამბიციები მერის თანამდებობით დაკმაყოფილდება?***

— ძალიან საინტერესო კითხვაა. ემზადება თუ არა კალაძე უფრო მეტისთვის? რა გითხრათ, ის ახალგაზრდა ადამიანია და აქ მოულოდნელი არც არაფერია.



***— გამოდის, „ქართულ ოცნებაში“ კალაძე პოზიციებს იმყარებს. რამდენად არის მოსალოდნელი. პრემიერობისთვის ემზადებოდეს?***

— პოლიტიკაში ამბიცია პოზიტიური რამ არის. რაც უფრო ამბიციურია პოლიტიკოსი, მით უფრო არის მოსალოდნელი, რომ ის აქტიური იქნება და ყველაფერს გააკეთებს, რომ წარმატებულიც იყოს.

რაც შეეხება კითხვას, ემზადება თუ არა პრემიერობისთვის, ვერ გეტყვით, ვნახოთ, არჩევნებზე როგორ განვითარდება მოვლენები და რა შედეგებს დადებს ამ არჩევნებზე. ამაზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული.

# ბექა ნაცვლიშვილი: „კონსტიტუციის 94-ე მუხლი დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება“

კონსტიტუციის 94-ე მუხლი დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება — ამ შეფასებას პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება — სოციალ-დემოკრატების“ მდივანი ბექა ნაცვლიშვილი აკეთებს. როგორც ცნობილია, „სოციალ-დემოკრატები“ კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის ამოღებას ითხოვენ, რომლის თანახმად, ახალი გადასახადების შემოღება ან გაზრდა მხოლოდ მთავრობის ინიცირებული რეფერენდუმის საფუძველზეა შესაძლებელი.



— ამ ლოგიკით კონსტიტუციაში ამ ჩანაწერს თუ დავტოვებთ, ე.ი. ნებისმიერ სხვა საკითხზეც უნდა ჩავატაროთ რეფერენდუმი. ზოგადად, გადასახადები ისეთი საკითხებია, რომელიც კონსტიტუციაში კი არ უნდა ეწეროს, არამედ პოლიტიკური ჯგუფების დებატების საკითხი უნდა გახდეს, — აცხადებს ნაცვლიშვილი.

დეპუტატი თვლის, რომ გადასახადების შემცირების, გაზრდის თუ დამატების საკითხები კონსტიტუციაში არ უნდა ეწეროს. მისი თქმით, ეს დაუშვებელია.

ნაცვლიშვილი არ ეთანხმება სპეციალისტების ნაწილის შეფასებებს, რომლებიც შიშობენ, რომ კონსტიტუციიდან ჩანაწერის გაქრობა საინვესტიციო გარემოს საგრძნობლად გააუარესებს და სოციალურ ფონს ქვეყანაში კიდევ უფრო დაამძიმებს.

— თუ ჩვენ გვინდა ისეთი ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც მაღალ დამატებით ღირებულებას, ღირებულ სამუშაო ადგილებს ქმნის და არ გვამყოფებს ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ბოლო 25 წელია ვართ, მაშინ საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გვჭირდება კვალიფიციური სამუშაო ძალა, გამართული ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელი ადამიანები, განათლება, ტექნოლოგიები, მეტი კვლევა. სწორედ ამის შემდეგ ვიქნებით ინვესტორებისთვის მიმზიდველი, — აცხადებს ნაცვლიშვილი.

დეპუტატის განცხადებით, ინვესტორი მხოლოდ დაბალი გადასახადებით არ ინტერესდება და ყურადღებას სხვა ფაქტორებსაც აქცევს. მისი თქმით, ქვეყანაში საგადასახადო განაკვეთები 2005 წლიდან არსებობს. მიუხედავად ამისა, ქვეყანა იგივე ტემპებით ვითარდება, როგორი ტემპებითაც ვითარდებოდა. ანუ მაღალტექნოლოგიური, დამატებითი ღირებულების შემქმნელი სამუშაო ადგილების გარეშე.

— ინვესტორები არ ინტერესდებიან მხოლოდ დაბალი გადასახადებით. ისინი ინტერესდებიან იმ ფაქტორებით, რაც მე ჩამოვთვალე. გარდა ამისა, იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც აქ პროდუქციას აწარმოებენ, ყველაზე მიმზიდველია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა და მოთხოვნა. როგორ შეიძლება საქართველოში რამეზე მოთხოვნა გაიზარდოს, როდესაც საგადასახადო ტვირთი ყველაზე დაბალშემოსავლიანებს აწევს, — აცხადებს ნაცვლიშვილი.

# შვილზე ძალადობის გამო მამაკაცს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე გ.ხ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს:



— სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 11 მარტის საღამოს საათებში, ვანის რაიონში მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გ.ხ.-მ, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ოჯახის წევრებთან კონფლიქტის დროს არასრულწლოვან შვილს დანით მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება, რითაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

სამართალდამცავებმა გ.ხ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) წარედგინა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გ.ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, — აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

# სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლში“ სავალდებულო დაზღვევის ამოქმედებას არ იწონებენ

სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლში“ სავალდებულო დაზღვევის ამოქმედებას არ იწონებენ. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რამდენიმე დღის წინ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაზღვევის ინიციატივით გამოვიდა.

„ლილო მოლის“ პრეზიდენტი ლევან გაგუა „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ არ ეთანხმება სავალდებულო დაზღვევის შემოღებას და აცხადებს, რომ ეს კულტურა და თვითშეგნება მოსახლეობაში უკვე ინერგება. მისი განმარტებით, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიების და სავაჭრო ცენტრების ხელმძღვანელების ერთობლივი მუშაობა, რაც გახდება კლიენტების მხრიდან დაზღვევის აუცილებლობის სწორად გაგების საფუძველი.



მისი ინფორმაციით, ლილოში 2006-2007 წლებში მომხდარი ხანძრის შემდეგ სავაჭრო ცენტრი სადაზღვევო კომპანია „უნისონშია“ დაზღვეული. ასევე დაზღვეულია მოვაჭრეების 80 პროცენტის ქონებაც.

– წლების წინ ასეთ სავაჭრო ობიექტებს არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ აზღვევდა. იმ პერიოდისთვის ეს სერვისი არ არსებობდა. მაშინ ჩვენ ძალიან ბევრი ვიზარალეთ. 2008-2009 წლიდან დაზღვეულია როგორც კომპანიის ქონება, ისე მოქმედებს ინდივიდუალური დაზღვევაც, – აცხადებს გაგუა.

როგორც ცნობილია, „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ კანონპროექტი უკვე შემუშავებულია“, – ამის შესახებ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კოტე სულამანიძემ „კომერსანტთან“ განაცხადა. მისი ინფორმაციით, აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტს უკვე გადაეგზავნა.

– ჩვენ გადავდგით იმ მიმართულებით ნაბიჯები, რაც მსოფლიოში მიღებულია. მათ შორის, ერთ-ერთი არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პასუხისმგებლობის დაზღვევა. ორგანიზატორები, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მართვას ახდენენ, კერძოდ, ბაზრობები, სავაჭრო ცენტრები, სტადიონები, კინოთეატრები და ა.შ., ვალდებული იქნებიან, რომ თავისი ადგილი დააზღვიონ. რადგან თუ ამ ობიექტზე რამე მოხდება ისეთი, რაც მათი ბრალეულობით არის გამოწვეული და ზიანი მიადგებათ იმ ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეებს ქონების თუ ჯანმრთელობის დაზიანების სახით, ორგანიზატორი დაცული იყოს, რომ ჩივილის შემთხვევაში თანხების გადახდა მას არ მოუწიოს. ასევე, თავის მხრივ, მომხმარებელიც დაცული იყოს და რა ზიანიც მიადგა, აუნაზღაურდეს. ამ მხრივ ნაბიჯი ჩვენც გადავდგით, შესაბამისი კანონპროექტი უკვე შემუშავებულია და პარლამენტშია გაგზავნილი. მსგავსი ობიექტების მფლობელები ვალდებულნი იქნებიან, შეიძინონ პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი, რათა დაცული იყვნენ თავადაც და მათი მომხმარებლებიც, – განაცხადა კოტე სულამანიძემ.

# ირაკლი შიოლაშვილი: „უცხოელებზე მიწების გასხვისების აკრძალვა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნა იყო“

მთავრობა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების“ მიწების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას გეგმავს. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება არ იქნება შესაძლებელი იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. თუმცა კონსტიტუციაში ამ ცვლილების შეტანამდე მიწის გასხვისებაზე მორატორიუმი წესდება.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, საზოგადოების უდიდეს ნაწილს, მათ შორის უმრავლესობის წევრებს, მიაჩნიათ, რომ უცხოელებზე მიწა არ უნდა გასხვისდეს, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, სანამ კონსტიტუციაში იქნება ასახული ცვლილებები, მანამდე გამოცხადდეს მორატორიუმი.

სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისებაზე მორატორიუმი 2013 წელსაც დაწესდა, თუმცა 2014 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ სარჩელის საფუძველზე ეს არაკონსტიტუციურად ცნო. დღეს შიოლაშვილი ამბობს, რომ მაშინ სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

– ჩემი პირადი კომენტარი არის, რომ იმ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო. კანონი, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, მორატორიუმის სახით იქნება შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. თუ რომელიმე არასამთავრობოს დღეს აქვს პრეტენზია, შეუძლიათ იგივე გზა გაიარონ და მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, – აცხადებს შიოლაშვილი.

მისივე თქმით, უმრავლესობაში არსებობს მზაობა, რომ მთავრობას მისცენ უფლება და განსაკუთრებული ინვესტიციის შემთხვევაში, გარკვეული პირობებით მოხდეს მიწის გასხვისება. თუმცა, მისივე თქმით, ჯერ არ არის დაზუსტებული, რა მოიაზრება „განსაკუთრებულ“ შემთხვევაში.



კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, ცვლილებების შემუშავებამდე, შეისწავლეს ბოლო წლების სტატისტიკა და შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური და საინვესტიციო თვალსაზრისით მიწების გასხვისებას არ მოუტანია ღირებული პროდუქტი.

ირაკლი შიოლაშვილის თქმითვე, ცვლილებების შემუშავების საფუძველი გახდა საზოგადოების უდიდესი ნაწილის და უმრავლესობის პოზიცია ქართულ მიწებთან მიმართებაში, არგუმენტებს შორის არის უცხოური გამოცდილების გაზიარება, რადგან ბევრ ქვეყანაში არის ანალოგიური შეზღუდვები მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დასძენს, რომ ბოლო წლების მიხედვით დამუშავებული მიწების თვალსაზრისით, წარმატებული შედეგები გვაქვს იმ პროგრამებიდან გამომდინარე, რაც მთავრობამ განახორციელა, თუმცა მომავალშიც არ არის გამორიცხული, იყოს პროგრამები, რაც დარგის წახალისებას შეუწყობს ხელს. ამასთან, მისივე თქმით, დღეს არის შესაძლებლობა, რომ არც ერთი ჰექტარი ქართული მიწა არ დარჩეს დაუმუშავებელი და ქართველმა ფერმერებმა გააუმჯობესონ პროდუქტის ხარისხიც და რაოდენობაც.

# მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 5,1% შეადგინა

2017 წლის I კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 8.318,0 მილიონი ლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5,1 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორი 5,6 პროცენტით გაიზარდა.

„საქსტატის“ ცნობით, მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (16,6 პროცენტი) და ვაჭრობა (15,3 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (11,4 პროცენტი), მშენებლობა (9,6 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9,0 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (7,8 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6,2 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (5,7 პროცენტი).



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (21,6 პროცენტი), კავშირგაბმულობა (11,5 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (8,7 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (8,0 პროცენტი), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (7,9 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (6,8 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,3 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,6 პროცენტი), ტრანსპორტი (5,2 პროცენტი). კლება კი - სოფლის მეურნეობასა (-1.5 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობაში (-1,3 პროცენტი) დაფიქსირდა.

– მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი, განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან. გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც.

მაგალითად, 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალის მონაცემები თავდაპირველად იანგარიშება 2016 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. 2017 წლის ნოემბერში, 2016 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2016 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად, შეიცვლება 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემებიც. გარდა ამისა, 2018 წლის ნოემბერში 2017 წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება 2017 წლის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები, – ნათქვამია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

# გიორგი ქადაგიძე: რატომ არის ბელარუსი ჩვენზე 2-ჯერ მდიდარი?



ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მორიგ პოსტს აქვეყნებს, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ.

– რატომ არის ბელარუსი ჩვენზე 2-ჯერ მდიდარი?

მეოცე საუკუნე იმითაც იყო გამორჩეული, რომ ყოველმა შემდეგმა თაობამ მშობლებისგან თითქმის ყველა მიმართულებით უკეთესი (უკიდურეს შემთხვევაში იგივე) ქვეყანა ჩაიბარა.

ასე, მაგალითად, 50-იანი წლების თაობამ უკან ჩამოიტოვა 30 წლების უმუშევრობა და შიმშილი, შემდეგ იყო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, 70-იანები, ტექნოლოგიური და ჯანდაცვის პროგრესი და ასე შემდეგ. შედეგად განვითარებული და მსოფლიო მივიდა იქამდე, სადაც დღეს არის, თავისი პრობლემებით, მაგრამ უფრო მდიდარი, ვიდრე ოდესმე.

საქართველოში არის ერთი თაობა, რომელმაც თავის შვილებს იმის მესამედი დაუტოვა, რაც მანამდე თვითონ არაფერში მიიღო. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ 90-იან წლებში 70% დაკარგა.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ეს იყო, ისტორია ჩაცხრილულ ამხანაგზე, ემიგრაციაში წასული ყოველი მესამე მშობელი, ენერგოდეფიციტში, კრიმინალში და სრულ უპერსპექტივობაში გატარებული მოზარდობა. შესაბამისი ტრავმებით, რომელიც ყოველდღე თავს გვახსენებს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

რატომ არის ბელარუსი საქართველოზე 2-ჯერ უფრო მდიდარი, მათ ჰკითხეთ. ისევ ეგ ხალხი და მათი იდეური მემკვიდრეები გველაპარაკებიან და გვასწავლიან ყოველდღე ტელევიზორიდან, თუ როგორ უნდა ქვეყნის მშენებლობა, სიყვარული და გაგება.

მათ ხომ ყველაფერი იციან, ყველაფერი და ყოველთვის, – წერს ქადაგიძე.

# საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისთვის დაწესებულმა ჯარიმამ შესაძლოა მოიმატოს



– საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისთვის დაწესებულმა ჯარიმამ შესაძლოა მოიმატოს, – ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა.

როგორც მერის მოადგილემ აღნიშნა, სატრანსპორტო კომპანიამ უბილეთოდ მგზავრობისთვის სანქციების გამკაცრების ინიციატივით მერიას უკვე მიმართა და ამჟამად საკითხი განხილვის ეტაპზეა.

– იმისთვის, რომ უბილეთოდ მგზავრობაზე მონიტორინგი იყოს უფრო გაძლიერებული, სატრანსპორტო კომპანია საჯარიმო სანქციების გადახედვის ინიციატივით შემოვიდა. ეს უბრალოდ განხილვის ეტაპზეა და საბოლოო გადაწყვეტილებამდე მნიშვნელოვანი განხილვა სჭირდება. კომპანიის ინიციატივა გულისხმობს საკითხის პრევენციას, ანუ იმას, რომ გამორიცხული იყოს ბილეთის არაღების შემთხვევები, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

მისივე თქმით, საჯარიმო სანქციების გამკაცრება არ შეეხება კეთილსინდისიერ მგზავრებს და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, 26 კატეგორიაზე გათვალისწინებული შეღავათით კვლავ შეძლებენ მგზავრობას.

ამ ეტაპზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში უბილეთოდ მგზავრობისთვის ჯარიმა 5 ლარია.

# კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში საქართველომ მე-8 ადგილი დაიკავა

საქართველო მსოფლიოს 165 ქვეყანას შორის კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში მე-8 ადგილზეა. ინფორმაციას ამის შესახებ იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. აღნიშნულ ინდექსს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული ორგანო – საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) ადგენს და 2 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს. უახლესი კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს 2015 წლიდან 2017 წლის დასაწყისამდე.

2017 წლის კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში საქართველოს მე-8 ადგილზე გასვლა იმ პროგრესის აღიარებაა, რომელსაც ქვეყანა კიბერუსაფრთხოების სფეროში წლიდან წლამდე აჩვენებს. რეიტინგში მე-8 ადგილზე ყოფნა ადასტურებს, რომ კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველო აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაცული და უსაფრთხო ქვეყანა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ევროპული ქვეყნების რეიტინგის ჭრილში საქართველო ესტონეთის შემდეგ მეორე-მესამე ადგილებს საფრანგეთთან ინაწილებს (0.819 სარეიტინგო ქულით).

– საქართველოსთვის ეს არის უპრეცედენტო შედეგი, როდესაც კიბერუსაფრთხოების ხარისხის ინდექსში ქვეყანა მსოფლიოში მერვე, ევროპაში კი მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს. კვლევის ხუთივე ძირითად კომპონენტში – საკანონმდებლო ბაზა, ტექნიკური მზაობა, ორგანიზაციული მოწყობა, შესაძლებლობების განვითარება და თანამშრომლობისთვის ღიაობა – ჩვენ მაღალი შეფასება მივიღეთ, რამაც განაპირობა კიდეც საბოლოო კოეფიციენტი, რომელიც სიამაყის საფუძველს ნამდვილად გვაძლევს, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ მიღწეულზე გაჩერება არ შეიძლება, ვინაიდან წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, – განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილე, გიორგი პატარიძემ.

ქვეყანაში კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შემდგომ მისი შენარჩუნება/განვითარება კომპლექსური საკითხია და სხვადასხვა უწყების კოორდინირებულ მუშაობს მოითხოვს.

ამის მაგალითად „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" თავმჯდომარე რამდენიმე უწყებას ასახელებს და ამბობს, რომ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად აღნიშნული შედეგი ვერ დადგებოდა.

– მინდა მივულოცო ყველა იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთა დიდი დამსახურებაა აღნიშნული წარმატება. ეს ორგანიზაციებია იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭო, თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, – აღნიშნა პატარიძემ.



ინდექსის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) არსებობამ და წარმატებულმა მუშაობამ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" სტრუქტურის ნაწილია და პასუხისმგებელია ქვეყანაში კიბერუსაფრთხოების განვითარება-შენარჩუნებაზე, კიბერინციდენტების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარებაზე და სხვა.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის მიერ მომზადებული ინდექსის მიზანია, გაზომოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის დონე, შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და ხელი შეუწყოს საერთაშორისო მასშტაბის თანამშრომლობას.

ერთი გოგონა დეპუტატის ძმამ გააუპატიურა, მეორე კი მამამ მოკლა – კრიმინალური ფაქტები სოხუმში

17 ივნისს სოხუმში მკვლელობა მოხდა. მოკლული 23 წლის ქალია, ის იმ არასრულწლოვანი გოგონას უფროსი დაა, რომელიც 12 ივნისს გააუპატიურეს. მოკლულ ანჟელა ჯგამაზიას ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა თავში აქვს მიყენებული. მის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მისი მამა რობერტ ჯგამაზიაა, რომელიც ამ დროისთვის იძებნება.

გავრცელებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებული ასტამურ ჯოპუაა, რომელიც დეპუტატ ალმაზ ჯოპუას ძმაა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, მკვლელობის ფაქტამდე დეპუტატმა ალმაზ ჯოპუამ ქალის მამას განუცხადა, რომ მისი შვილი მეძავია.

კრიმინალურ ფაქტებს გამოეხმაურა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. მისი თქმით, ორივე დანაშაული ობიექტურად უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავე დასჯილი.

## ელისო კილაძე მისი შვილის საქმეზე ევროსასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს



ელისო კილაძე მისი შვილის საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. როგორც კილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სარჩელი მისი შვილის, დავით ხარშილაძის უკანონო პატიმრობას შეეხება. მისივე თქმით, სხდომაზე, რომელზეც ხარშილაძისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა ხდებოდა, მოსამართლემ მკაფიოდ გამოაჩინა, თუ რა დაკვეთა აქვს ამ საქმეზე სასამართლოს.

– ჩვენ ამ კვირაში ჩემი შვილის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით მივმართავთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რადგან მკაფიოდ გამოჩნდა წინა სასამართლო სხდომაზე შეკვეთა, რომელიც აქვს მოსამართლეს. მან არ გაითვალისწინა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თავდებობა. ჩვენ დასამალი არ გვაქვს არაფერი და ჩემი შვილი არსად დაიმალება. ის უკანონო პატიმარია და ვცდილობთ, მისი სიმართლე დავადასტუროთ, – განაცხადა ელისო კილაძემ.

მისივე თქმით, აქვს კონკრეტული ინფორმაციები, თუ რა გადაწყვეტილებისკენ მიდის სასამართლო და ამ ინფორმაციებს მოგვიანებით გააჟღერებს.

## თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის განცხადებას მცდარს უწოდებს

თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის განცხადებას პასუხობს, რომლის მიხედვითაც ორმა მოსამართლემ სხვადასხვა კომპანიები დააჯარიმა. როგორც სასამართლოში განმარტავენ, გავრცელებული ინფორმაციები მცდარია.



სასამართლო მოუწოდებს დაინტერესებულ პირებს, თავი შეიკავონ მოსამართლის საქმიანი რეპუტაციისა და იმიჯის დისკრედიტაციისგან, მცდარი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებით.

– ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა: გიორგი დარახველიძემ შპს „ჯორჯიან მანგანეზი" 365 მილიონი ლარით, ხოლო ვლადიმერ კაკაბაძემ კონკრეტული კერძო კომპანიები 150 მილიონი აშშ დოლარით დააჯარიმა.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი დარახველიძე, შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ბრალდების საქმეს არსებითად იხილავს, საქმის წარმოება მიმდინარეა და არავითარი ჯარიმა, კომპანიის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა. ასევე, მიმდინარეა სამოქალაქო საქმის წარმოება „ტერაბანკის" მიმართ, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ჯერ არ მიუღია. რაც შეეხება სამოქალაქო დავას, „ბრითიშ ამერიკან თობაქოსა" და „ფილიპ მორისის" მიმართ, საქმეზე მიღებული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება კომპანიებისათვის ჯარიმების დაკისრების თაობაზე, ზემდგომ ინსტანციაში გაუქმდა. შესაბამისად, აპელირება უცხოელი ინვესტორებისათვის მიზანმიმართულად და ხელოვნურად პრობლემების შექმნის თაობაზე სიმართლეს არ შეესაბამება. მოვუწოდებთ დაინტერესებულ პირებს, თავი შეიკავონ მოსამართლის საქმიანი რეპუტაციისა და იმიჯის დისკრედიტაციისგან, მცდარი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებით, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

## თურქეთში დაკავებულ 4 ქართველს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

თურქეთში დაკავებულ 4 ქართველს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა მიესაჯა, ქალბატონი კი ქვეყნიდან გაუსვლელობის პირობით სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მრჩეველმა, გელა ჯაფარიძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა.

მისივე თქმით, ოთხივე მათგანი უკვე გადაიყვანეს ანტალიის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. გელა ჯაფარიძის ინფორმაციით, პროცესზე ბრალდებულები თარჯიმნით უზრუნველყოფილები იყვნენ. მათ ინტერესებს სახაზინო ადვოკატი იცავს.

– გაიმართა სასამართლო პროცესი, 4 მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა მიესაჯა. ქალბატონი გაათავისუფლეს, თუმცა მას ამ ეტაპისთვის აკრძალული აქვს თურქეთის ტერიტორიის დატოვება. მომავალ სასამართლო პროცესზე დაკავებულების ოჯახის წევრებს შეუძლიათ ადვოკატი დაიქირავონ, თუმცა თუ არ აიყვანენ, ამ შემთხვევაში თურქეთის სახელმწიფო სახაზინო წესით ადვოკატს კვლავ უზრუნველყოფს, – აღნიშნა ელჩის მრჩეველმა.

თურქმა სამართალდამცველებმა ანტალიაში ხუთკაციანი ჯგუფი დააკავეს, რომლებსაც ბრალად ედებათ მანქანებისა და სახლების ძარცვა. პოლიციამ დამნაშავეების იდენტიფიცირება სათვალთვალო კამერების მეშვეობით მოახდინა. დაკავებულების საცხოვრებელ სახლებში ამოღებულია ოქროულობა, მობილური ტელეფონები და კომპიუტერები.

## ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა



ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 50-წლამდე ასაკის მამაკაცი გარდაიცვალა. დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, მოგვიანებით გარდაიცვალა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევისას მამაკაცი ველოსიპედით გადაადგილდებოდა, როდესაც მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო წესების დარღვევას გულისხმობს.

## ადვოკატი: „გიორგი გიორგანაშვილს (ბახალა) ნარკოტიკი ჩაუდეს"

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის (ბახალა) ადვოკატის მტკიცებით, სახელმწიფო ბრალდება არ დაინტერესებულა, იყო თუ არა ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებაზე გიორგანაშვილის ანაბეჭდი ან დნმ-ი. ამის შესახებ ადვოკატმა ნინო გელაშვილმა დღევანდელ სასამართლო პროცესზე განაცხადა.



ადვოკატის მტკიცებით, მოწმის სახით დაკითხულ პოლიციელებს ძირითადად არ ახსოვთ ის გარემოებები, რომელიც მსახიობის უდანაშაულობას ამტკიცებს.

– მთავარი კითხვის ნიშანი არის ის, რომ საქმეში არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებები და მათ მიერ ერთპიროვნულად შედგენილი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმები. ძირითად კითხვებზე, რომელიც დაცვისთვის მნიშვნელოვანია, არ ახსოვთ პასუხები, რითაც შეიძლება აპელირება მოვახდინოთ გიორგის უდანაშაულობაზე. თუნდაც ის, რომ მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ მოათავსეს პოლიციის მანქანაში და პოლიციის მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. არ ახსოვთ პოლიციელებს, რომ მოკლესახელოებიანი მაისური ეცვა და შემდეგ, როცა შესცივდა, მოაცვეს გრძელსახელოებიანი მაისური, რომელშიც შემდგომ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ადასტურებს და მეც ვამბობ, რომ გიორგი გიორგანაშვილს ნარკოტიკი ჩაუდეს, თუმცა საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე რამდენად შევძლებთ ამის დამტკიცებას, ეს მეორე საკითხია. ცალკე მხარეს დგას გიორგი და მეორე მხარეს დგას სახელმწიფო უწყება, რასაც პოლიცია ჰქვია, – განაცხადა ნინო გელაშვილმა.

მისივე თქმით, მხოლოდ მოწმე პოლიციელების საფუძველზე ამტკიცებს სახელმწიფო ბრალდება, რომ ნარკოტიკული საშუალება არის გიორგი გიორგანაშვილის ჩხრეკისას ამოღებული.

## მაია რჩეულიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესებულა



„ცენტრ პოინტის" დამფუძნებლის, მაია რჩეულიშვილის ადვოკატი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" ადვოკატმა მაია ცუცქირიძემ განუცხადა, მაია რჩეულიშვილი კვლავ სასჯელაღსრულების ნომერ მეხუთე დაწესებულების საავადმყოფოში რჩება, სადაც ბოლო პერიოდშია მოთავსებული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

– მაია რჩეულიშვილი კვლავ სასჯელაღსრულების მეხუთე დაწესებულების საავადმყოფოში რჩება. რაც შეეხება მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ის მედიკამენტურ მკურნალობას განაგრძობს. რა თქმა უნდა, მდგომარეობა კარგი არ არის, მაგრამ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა, – განაცხადა მაია ცუცქირიძემ.

„ცენტრ პოინტის" დამფუძნებელსა და დირექტორს მაია რჩეულიშვილს გამოძიება თაღლითობასა და თანხის მითვისება ან გაფლანგვაში ედავება. დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც რჩეულიშვილი სამოქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## ვარკეთილში მკვლელობა მოხდა



ვარკეთილში მკვლელობა მოხდა. მესამე მიკრორაიონში 40-წლამდე მამაკაცი ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში დაჭრეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე საქმე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 108-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

უწყების განმარტებით, საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

## ყაჩაღობა ქუთაისში – ქალაქის ცენტრში საინკასაციო მანაქანას თავს დაესხნენ

ქუთაისის ცენტრში საინკასაციო მანქანას თავს დაესხნენ. ცნობილია, რომ მანქანით, ფეიბოქსის აპარატიდან ამოღებული თანხა გადაჰქონდათ.



არსებული ინფორმაციით, შეიარაღებულმა პირებმა ავტომობილი გაიტაცეს.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას ითვალისწინებს.

უწყების ცნობით, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გატაცებული ავტომობილი ნაპოვნია.

ამ დროისთვის კი ბრალდებულთა დაკავებისთვის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

# მაკრონის პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა



საფრანგეთი აღორძინდა! – ასეთი კომენტარი გააკეთა პრეზიდენტმა მაკრონმა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ.

მართლაც, მოძრაობამ „წინ რესპუბლიკა," რომელიც მაკრონს მხარს უჭერდა, დამაჯერებელი უპირატესობით გაიმარჯვა. მაკრონის მომხრეებს პარლამენტში 331 ადგილი ექნებათ; მაკრონის უმთავრეს კონკურენტ რესპუბლიკელებს – 125; სოციალისტებს – 49; მოძრაობა „დაუმორჩილებელ საფრანგეთსა" და კომუნისტებს – 30; ნაციონალურ ფრონტს – 8.

გავლენიანი ინგლისური ჟურნალის „ეკონომისტის" ექსპერტი ედვარდ ლუკასი აღნიშნავს, რომ გენერალ დე გოლის შემდეგ არც ერთ ფრანგ პოლიტიკოსს ასეთი მხარდაჭერა არ მიუღია.

ლუკასი ამას ფრანგულ არჩევნებში რუსეთის ჩარევით ხსნის. პუტინმა დააფინანსა მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტი და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რათა საფრანგეთის ხელისუფლებაში ანტიამერიკული, ანტიგლობალისტური ძალები მოსულიყვნენ.

გასული საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ ფრანგები პირველად აღმოჩნდნენ უცხო სახელმწიფოს მიერ მათ საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობის წინაშე. მაშინ საბჭოთა კავშირი ხელისუფლებაში ფრანგი კომუნისტების მოყვანას შეეცადა. გენერალი დე გოლი ერთადერთი რეალური ძალა იყო, ვინც ამას წინ აღუდგა. ფრანგმა ხალხმაც მას ნდობა გამოუცხადა.

ახლა მოსკოვი უკვე ფრანგი ნაციონალრადიკალების მხარდამჭერად მოგვევლინა. მაკრონი და მისი მიმდევრები ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენდნენ, რომელიც ამას შეეწინააღმდეგა.

– მაკრონის ასეთ მხარდაჭერაც ამით აიხსნება, – წერს ლუკასი.

ექსპერტის აზრით, საფრანგეთის არჩევნები ვლადიმერ პუტინის სერიოზული მარცხია. მაკრონის გამარჯვებით იკვეთება საფრანგეთ-გერმანიის ალიანსი, ანუ ევროპაში წინა პლანზე ანტიმოსკოვური და დემოკრატიული ძალები გამოდიან. პუტინისეული იდეა, რომელიც ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის სანქციების შესუსტებას, შემდეგ კი გაუქმებას ითვალისწინებდა, ჩაიშალა.

– მეორე ცივი ომი გრძელდება. ევროპის ფრონტზე გარღვევის კრემლისეული მცდელობა მარცხით დასრულდა, – თვლის ლუკასი.

ექსპერტის აზრით, გერმანია-საფრანგეთის ალიანსი გავლენას მოახდენს როგორც ევროპაზე, ასევე პოსტსსაბჭოთა სივრცეზე, ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა უკრაინა ან საქართველო.

– ევროპა უფრო გააქტიურდება როგორც დონბასში, ასევე კავკასიაშიც, – ამბობს ლუკასი.

# სისხლიანი ტრაგედია ლონდონის მეჩეთთან

ბრიტანეთის დედაქალაქში მორიგი სისხლიანი ტრაგედია მოხდა. მეჩეთთან ფურგონი ხალხის ნაკადში შეიჭრა. არიან დაშავებულები. ერთი ადამიანი დაიღუპა.

ტრაგედია მაშინ მოხდა, როცა ლოცვა დამთავრდა და ხალხი მეჩეთიდან გამოდიოდა.

პრემიერმა მეიმ სატელევიზიო მიმართვაში განაცხადა, რომ არსებობს ტერაქტის ვერსია. მან აღნიშნა, რომ ჩატარდება გულდასმითი გამოძიება და ყველაფერს ნათელი მოეფინება.

– ვერსია, რომ მორიგი ტერაქტი მოხდა, დამაჯერებლად მეჩვენება, – თქვა მეიმ.

მოგვიანებით ლონდონის პოლიციამ მეჩეთთან მომხდარ შემთხვევას ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა. აღნიშნულის შესახებ ლონდონის პოლიციის კონტრტერორიზმის დანაყოფის კოორდინატორმა ნეილ ბასუმ განაცხადა.

– აღნიშნული შემთხვევა განიხილება, როგორც ტერაქტი. კონტრტერორიზმის დანაყოფი იძიებს ამ საქმეს. ეს იყო თავდასხმა ლონდონზე და ყველა ლონდონელზე. ჩვენ ყველანი ერთად უნდა გავერთიანდეთ ექსტრემისტების წინააღმდეგ, – აღნიშნა მან.




# სირია: ამერიკელებმა ასადის მომხრეთა თვითმფრინავი ჩამოაგდეს



სირიაში ბრძოლები გრძელდება. ქვეყნის დემოკრატიული ძალები ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქ რაქასკენ გაჭრას ცდილობენ. ამას ასადის მომხრენი ხელს უშლიან, რადგან რაქას პროამერიკული ძალების მიერ აღება მათ ინტერესში არ არის.

თანახმად აშშ-ის მეთაურობით შექმნილი ანტიტერორისტული მთავარი შტაბის ცნობისა, ასადის ავიაციამ განახორციელა დარტყმა დემოკრატიული ორიენტაციის სირიელ პარტიზანებზე, რომლებიც რაქაზე შეტევას აწარმოებდნენ.

– პასუხად ასადელთა თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანება გაიცა. თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა, – იტყობინება ანტიტერორისტული შტაბი.

ასადმა მომხდარი სირიის წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიად შეაფასა. მან ამერიკელებს ტერორისტების მხარდაჭერაში დასდო ბრალი.

– ჩვენი თვითმფრინავის ჩამოგდება ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლას ასუსტებს, – ამტკიცებს სირიის დიქტატორი.

# ტერაქტი მალიში



მალიში ისლამისტი ტერორისტები საკურორტო კომპლექსს თავს დაესხნენ და იქ მყოფი უცხოელი ტურისტები მძევლებად აიყვანეს.

მალის უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმმა მძევლები გაათავისუფლა. ტერორისტების ნაწილი ლიკვიდირებულია, ნაწილი დაატყვევეს.

მძევლების გათავისუფლების ოპერაციისას ორი უცხოელი ტურისტი დაიღუპა. აქედან ერთ-ერთი საფრანგეთის მოქალაქეა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# ნიუიორკელები რუსი მილიონერის იახტით უკმაყოფილონი არიან

რუსი მილიონერის იახტამ, რომელმაც თავისუფლების ქანდაკების ხედი გააფუჭა, ნიუიორკელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ინფორმაციას გამოცემა ნიუ იორკ პოსტი ავრცელებს.

იახტა Le Grand Bleu-მ, რომელიც ბიზნესმენ ევგენი შვინდლერს ეკუთვნის, ღუზა ნიუ იორკის მთავარი ღირსშესანიშნაობის მახლობლად 17 აპრილს ჩაუშვა, ორი კვირის შემდეგ ეს ადგილი დატოვა, მაგრამ ივნისში ისევ დაბრუნდა და ქანდაკების მახლობლად გაჩერდა.



ამ ადგილზე დგომა ნებადართულია, თუმცა ჩვეულებრივ ხომალდები იქ ერთ-ორ დღეზე მეტ ხანს არ ჩერდებიან. სანაპირო დაცვა საქმეში შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერიოს, თუ იახტა ნაოსნობას უსაფუძვლო შეფერხებას შეუქმნის. ჯერ-ჯერობით მსგავსი რამ არ მომხდარა.

– ეს ხომალდი ხელს უშლის საექსკურსიო ხომალდებს, რომლებიც იქ იმისთვის მიცურავენ, რომ ხალხი ქანდაკების დასათვალიერებლად მიიყვანონ, – აცხადებს როლანდ ლუისი, რომელიც ერთ-ერთ ადგილობრივ არაკომერციულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

– 50 წელია ნიუ იორკის ყურეში ვმუშაობ და ასე დიდხანს ღუზაზე მდგომი მეგაიახტა ჯერ არ მინახავს, – ამბობს კაპიტანი ჯიმ ჩემბერსი, რომელიც მიიჩნევს, რომ მისმა მფლობელმა, უბრალოდ, გადაწყვიტა, ასე დაზოგოს დოკში დგომის საფასური, რაც იქ დღეში ათასი დოლარი ჯდება.

რუსი მილიონერის იახტა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ იახტად ითვლება. მისი სიგრძე 113 მეტრია და 2000 წელს არის აგებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია:** საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

**თამარ ხარხელი:** მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია", „ზაპოი", ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ახალი ზელანდია მსოფლიო ჩემპიონია, საქართველო ისევ მეათეა



უმცროსი ბორჯღალოსნები მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასკვნით მატჩში ირლანდიას ბოლომდე ეომნენ, მაგრამ მეორე ტაიმის დებიუტში მიღებული 2 ლელო ვერ გააბათილეს და საბოლოოდ ტურნირი მე-10 ადგილზე დაასრულეს.

ილია მაისურაძის გუნდმა გაიმეორა შარშანდელი შედეგი და შეასრულა პროგრამა მინიმუმი, თუმცა ერთი ნაბიჯით წინ წაწევა სავსებით შესაძლებელი იყო. ჩვენი გუნდი მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდა და ოდნავ რომ გამართლებოდა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა.

მატჩი კარგი საყურებელი გამოდგა და მას დამატებითი ხიბლი ქომაგმა შემატა. ამ თამაშმა დაგვანახა, რომ უმცროსი ბორჯღალოსნების პლუსი მხოლოდ მძლავრი შერკინება არაა. გუნდი ხელდახელ კარგად უტევდა და რამდენჯერმე გაიჭრა ხაზი. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი გელა აფრასიძის ულამაზესი ლელოთი დასრულდა და გამარჯვების იმედიც გაჩნდა, მაგრამ გადამწყვეტი ლელოს დადება ვეღარ მოხერხდა – 18:24.

შეხვედრა სტუმრების შეტევებით დაიწყო, მარცხენა ფლანგზე რიცხობრივი უპირატესობა გაჩნდა და ირლანდიელი გარემარბი ფეხით შეგორებულ ბურთს შეყვა. თითქოს ლელო გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ დავით მესხი ეპიზოდს არ გამოეთიშა, შემტევი ზედ ლელოს ხაზზე შებოჭა და ბურთის დამიწების საშუალება არ მისცა.

21-ე წუთზე ირლანდია მაინც დაწინაურდა, ლელო ალან ტირნანმა დაამიწა და ქონორ დინმა გარდასახა. სამაგიეროდ უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შერკინებაში მოიპოვეს უპირატესობა და 27-ე წუთზე გელა აფრასიძემ საშუალო დისტანციიდან ჯარიმა გაიტანა. ორიოდე წუთში ლელოს დადების შანსი გვქონდა, როდესაც მეტოქეს ბოჭვისას ბურთი დავაგდებინეთ და ფეხით ლელოსკენ გავგზავნეთ. მას გიორგი კვესელაძე მიყვა, მაგრამ ბურთისთვის ბრძოლისას კარის ძელს შეეჯახა.

32-ე წუთზე კარგი იერიში ლელოთი დასრულდა. დერეფანში ბურთის მოგების შემდეგ დაახლოებით 40 მეტრი ხელდახელ შეტევით ვიარეთ, თედო აბჟანდაძემ ბურთი ბურჯ გურამ გოგიჩაშვილს შეაყოლა და მრავალფაზიანი შეტევა ლოგიკურად დასრულდა. აფრასიძემ გარდასახა და ტაიმი 10:7 მოვიგეთ.

მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში ირლანდიამ ტემპს უმატა, დაცვაში პრობლემები შეგვიქმნა და 2 გარდასახული ლელო მიითვალა. ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თამაშში გარდატეხის შეტანა მოახერხეს და გაუთავებელი იერიშები აფრასიძის ჩინებული გარღვევით დაგვირგვინდა. უმცროსი ბორჯღალოსნების 9 ნომერმა მეტოქის დაცვაში სივრცე შენიშნა და ხაზი გაჭრა, მაღალ სისწრაფეზე 2 მცველი ფინტით ჩამოიშორა და 60-მეტრიანი გარბენი ლელოთი დააგვირგვინა. სანამ ის ნატკენ ფეხს იშუშებდა, გარდასახვა აბჟანდაძეს გაუცუდდა და სხვაობა 6-ქულიანი დარჩა – 15:21.

ხუთიოდე წუთში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთი კარგი შეტევა განახორციელეს, მორკინალებმა ორჯერ გაჭრეს ხაზი და ყველა მიძალებაზე შეძლეს უპირატესობის ხაზის გადაკვეთა, ირლანდია დაჯარიმდა და აფრასიძემ კარის წინ 18 მეტრიდან სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა.

მატჩის დასრულებამდე 20 წუთი რჩებოდა და გამარჯვების იმედი გაჩნდა. მონდომება დიდი იყო, თუმცა პატარ-პატარა შეცდომებმა ქულების აღების საშუალება არ მოგვცა. ირლანდიამ 73-ე წუთზე ჯარიმა გაიტანა და საბოლოოდ თამაშში 24:18 იმარჯვა.

* * *

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონი ახალი ზელანდია გახდა. ბეიბი ბლექსმა ფინალში სარეკორდო გამარჯვება მოიპოვა და ტურნირის 10-წლიან ისტორიაში თასი მეექვსედ შემართა.

აქამდე ფინალში ყველაზე დიდი სხვაობა 2010 წელს, არგენტინაში დაფიქსირდა და მაშინ ახალმა ზელანდიამ ავსტრალიას 62:17 აჯობა, თბილისში კი სხვაობა 2 ქულით გაზარდა – ინგლისი 64:17 დაამარცხა.

პირველად ტურნირის ისტორიაში, ჩემპიონმა ფინალში მეტოქეს 10 ლელო დაუდო. ჯუნიორ ბლექსმა პირადი რეკორდი გააუმჯობესა. აქამდე მას 2009 და 2010 წლების ფინალში, ინგლისისა და ავსტრალიისთვის 7-7 ლელო ჰქონდა დადებული; ახალმა ზელანდიამ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა და ტურნირი 41 ლელოთი დაასრულა.

მიხეილ მესხზე გამართულმა ფინალურმა შეხვედრამ ქართველ ქომაგში დიდი ინტერესი გამოიწვია და ტრიბუნებზე 12.000 მაყურებელი შეიკრიბა. ზელანდიელებმა კი ცნობილი რიტუალი ჰაკა ისეთი მონდომებით შეასრულეს, რომ ცხადი იყო, ინგლისს კარგი დღე არ დაადგებოდა. ჯუნიორ ბლექსმა მატჩის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყვიტა – 6 ლელო და 40:7. შესვენების შემდეგ მომავალმა ჩემპიონმა კიდევ 4 ლელო დადო და საბოლოოდ 64:17 იმარჯვა. ინგლისმა 20-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალი მეხუთედ წააგო და ყველა ჯერზე ახალ ზელანდიასთან.

მე-3 ადგილისთვის მატჩში, საფრანგეთმა სამხრეთ აფრიკას პირველი ტაიმი 8:7 მოუგო, თუმცა აფრიკელებს მეტი ენერგია შერჩათ, მეორე ტაიმში დიდი უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქე 37:15 დაამარცხეს. სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა მეექვსედ მოიპოვა 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები, ხოლო საფრანგეთი მესამედ დარჩა მეოთხე ადგილზე, რაც მისთვის საუკეთესო მაჩვენებელია.

შოტლანდია ტურნირის პირველ მატჩში ახალ ზელანდიასთან 20:42 დამარცხდა, თუმცა მას შემდეგ ზედიზედ 4 შეხვედრა მოიგო და 20-წლამდელთა ჩემპიონატში მისთვის საუკეთესო შედეგი აჩვენა – მე-5 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიელებმა ყველა თამაში ბრძოლაში მოიგეს: ჯგუფში ირლანდიასთან 32:28 და იტალიასთან 17:16; მე-5 ადგილის ნახევარფინალში უელსთან 29:25 და ფინალი ავსტრალიასთან 24:17, რომელშიც გამარჯვების ლელო ბოლო წუთზე დადეს.

დაძაბული გამოდგა მე-7 ადგილისთვის მატჩიც, რომელშიც უელსმა იტალიას 25:24 აჯობა. ტაიმის 9:15 დათმობის შემდეგ, იტალიელებმა ორი ლელო დადეს, თითო ჯარიმა და გარდასახვა გაიტანეს და 24:15 დაწინაურდნენ. მაგრამ უელსმა ლელო-გარდასახვით ჩამორჩენა შეამცირა, ხოლო 75-ე წუთზე გამარჯვების მომტანი ჯარიმა გაიტანა.

ბოლოსწინა ადგილისთვის არგენტინა სამოას ავჭალაზე შეხვდა და ტაიმი 31:7 მოუგო. მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, დასკვნით 10 წუთში სამოამ 3 ლელო გაიტანა, რითაც ჩამორჩენა შეამცირა და საბოლოოდ არგენტინამ 53:42 იმარჯვა. შედეგად, არგენტინა 20-წლამდელთა ჩემპიონატში რჩება, ხოლო სამოა ალაფაზე დაქვეითდა.

ვინ დაიკავებს სამოას ადგილს 2018 წლის ჩემპიონატისთვის, სექტემბერში გაირკვევა. წლევანდელ „ალაფას" ურუგვაი უმასპინძლებს (29 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე) და მასში იაპონიის, ურუგვაის, ჩილეს, კანადის, პორტუგალიის, ფიჯის, ჰონკონგისა და ნამიბიის 20-წლამდელთა ნაკრებები ითამაშებენ.

# ავთანდილ ხურციძეს დროებითი ჩემპიონის ტიტული ჩამოერთვა



აშშ-ში დაკავებულ ქართველ მოკრივეს, ავთანდილ ხურციძეს ვბო-ს დროებითი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოერთვა.

– ავთანდილ ხურციძე ვერ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს, როგორც ვბო-ს დროებითი ჩემპიონი იბრძოლოს ჩემპიონატზე და ვინაიდან დაგეგმილი ჩემპიონატი გაუქმდა, ამ რეზოლუციით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ავთანდილ ხურციძის საშუალო წონით კატეგორიაში დროებითი ჩემპიონის ადგილი გათავისუფლდეს, – ნათქვამია ორგანიზაციის გამოქვეყნებულ სპეციალურ განცხადებაში.

ვბო ხურციძეს 10-დღიან ვადას აძლევს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში რეზოლუცია საბოლოო იქნება და ვეღარ გადაიხედება.

შეგახსენებთ, რომ 37 წლის ავთანდილ ხურციძემ ვბო-ს დროებითი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 22 აპრილს მოიპოვა ტომი ლენგფორდის ნოკაუტით დამარცხების შემდეგ. დროებითი ჩემპიონის ქამარი ქართველ მოკრივეს 8 ივლისს, ლონდონში სრულფასოვან ჩემპიონ ბრიტანელ ბილი ჯო სანდერსთან ბრძოლით უნდა დაეცვა, თუმცა მისი დაპატიმრების გამო შეხვედრა გადაიდო.

ქართველ მოკრივეს რეკეტის, თავდასხმის და სხვადასხვა სახის თაღლითობის ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში, 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

# სამტრედია ყარაბაღს შეხვდება



ევროტურნირებზე ქართული გუნდების მეტოქეები გაირკვნენ

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბ-ბინაში უეფას ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა

საქართველოს ჩემპიონი სამტრედია უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანის ყარაბაღს შეხვდება.

პირველი მატჩი 11-12 ივლისს გაიმართება და მასპინძელი აზერბაიჯანული გუნდი იქნება, ხოლო საპასუხო შეხვედრას 18-19 ივლისს სამტრედიელები უმასპინძლებენ.

2017-18 წლების ევროპა ლიგის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საჩხერის ჩიხურა ავსტრიულ ალტახს შეხვდება.

ზემოიმერლები პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე ჩაატარებენ.

პირველი მატჩების სტუმრად ჩატარება მოუწევთ ბათუმის დინამოსა და ქუთაისის ტორპედოს.

ბათუმელებს საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან – პოლონურ იაგელონიასთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა, ხოლო ტორპედოს მეტოქედ სლოვაკური ტრენჩინი ერგო, რომლის შემადგენლობაშიც გიორგი ბერიძე ირჯება.

ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 29 ივნისს გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრები 6 ივლისს ჩატარდება.

# კონფედერაციის თასზე ჯგუფური ეტაპი გრძელდება



**პორტუგალია-მექსიკა 2:2**

**ყაზანი.** ყაზან არენა

1:0 კუარეჟმა (35), 1:1 ჩიჩარიტო (42), 2:1 სუარეში (86), 2:2 მორენო (90)

**პორტუგალია:** რუი პატრისიუ, სუარეში, ფონტე, პეპე, გერეირუ, კარვალიო, ანდრე გომეში, მოუტინიო (ადრიენ სილვა 58), ნანი (ჟელსონი 58), რონალდუ, კუარეჟმა (ანდრე სილვა 82)

**მექსიკა:** ოჩოა, სალსედო (არაუხო 67), მორენო, რეიესი, ლაიუნი, გუარდადო, ერერა, ჯონათან დოს სანტოსი, ველა (ჯოვანი დოს სანტოსი 57), ხიმენესი (პერალტა 79), ჩიჩარიტო

ჯერჯერობით კონფედერაციის თასზე ყველა თვალსასეირო და დრამატული მატჩი. ორივე გუნდი ხშირად ცდებოდა, შეტევებსაც უფრო კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ 4 გოლი გავიდა. აქედან 2 ბოლო წუთებში. ლათინოამერიკელებს ორჯერ მოუწიათ ანგარიშის გათანაბრება, მათ შორის მსაჯის კომპენსირებულ დროში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მექსიკელებმა ორჯერვე თავით გაიტანეს: ჩიჩარიტო და მორენო თავიანთ ოპონენტებზე (პეპე და ფონტე) მაღლა ახტნენ. აქედან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ პორტუგალიელებს დაცვის ცენტრში აქვთ პრობლემა.

დაცვაში საქმე გამოსასწორებელი აქვთ მექსიკელებსაც. პირველი გოლი მათ კარში არა მარტო კრიშტიანუ რონალდუს დამსახურებაა, არამედ სალსედოს უხეში შეცდომასაც მოჰყვა.

სამაგიეროდ, ამიერიდან მსაჯების შეცდომები უნდა იქნას აღმოფხვრილი. მატჩის მიმდინარეობისას მთავარმა არბიტრმა ორჯერ მიირბინა სპეციალურ კაბინასთან, რათა ვიდეოგამეორება ენახა. და ერთ შემთხვევაში გამართლებულადაც – პეპეს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ იქნა ჩათვლილი.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რიკარდუ კვარეჟმა***

პორტუგალიელთა შემტევი ცოტა ეგოისტურად გამოიყურებოდა მოედანზე, მაგრამ ეს არ აკნინებს მის გარჯას მთელი მატჩის მანძილზე. სარგებლიანობის კოეფიციენტით სჯობდა კიდეც გუნდის უმთავრეს ლიდერს. ყველაზე მეტჯერ დაარტყა კარში, ყველაზე მეტი სოლორეიდი განახორციელა, გოლი გაიტანა...

**კამერუნი-ჩილე 0:2**

**მოსკოვი.** ოტკრიტიე

0:1 ვიდალი (81), 0:2 ვარგასი (90)

**კამერუნი:** ონდოა, მაბუკა, ტეიკუ, ნგადუ-ნგაჯუი, ფაი, ანგისა (მანჯეკი 89), სიანი (ნგამალე 86), ჯუმი, მუკანჯო, აბუბაქარი, ბასოგოგი

ჩილე: ერერა, ისლა, მედელი, ჰარა, ფუენსალიდა (ვალენსია 64), ვიდალი, ბოსეჟური, არანგისი (სილვა 71), დიასი, ვარგასი, პუჩი (სანჩესი 58)

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდი აფრიკის ჩემპიონზე ძლიერი აღმოჩნდა. ეს პროგნოზირებადი შედეგი კი იყო, მაგრამ ჩილელებს მოგება გაუჭირდათ. და ეს არა მარტო თამაშის სურათით, არამედ სიუჟეტითაც...

პირველი ტაიმი ჩილელთა უპირატესობით წარიმართა, რომელიც ტოტალურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მეტოქის კარის აღება ვერ მოახერხა. კამერუნელები პერიოდულად ცდილობდნენ მეტოქის ტემპი დაეგდოთ და ქაოტურ რეჟიმში გაეყვანათ თამაში.

მეორე ტაიმში უკვე სამხრეთ ამერიკელებს დაადგათ რთული დღე. კამერუნი შესვენების შემდეგ შეიცვალა, ტემპსაც მოუმატა და თამაშსაც. მხოლოდ ბრძოლაში დაგვიანებით შესული სანჩესის შემდეგ შეიცვალა სიტუაცია. თამაში გათანაბრდა, შემდეგ ისევ ჩილელებმა მიიღეს უპირატესობა და მატჩის ბოლოს 2 გოლში გარდასახეს.

ამ მატჩშიც ორჯერ იქნა გამოყენებული ვიდეორეფერი და ორჯერვე საქმიანად: პირველ შემთხვევაში არ ჩაითვალა ჩილელთა გოლი პირველ ტაიმში, ხოლო ვიდალის მიერ გატანილი გოლი – ჩაითვალა...

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ალექსის სანჩესი***

ფიფამ საუკეთესოდ ედუარდო ვარგასი აღიარა, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით. სულ რაღაც ნახევარ საათში ალექსის სანჩესმა საერთოდ შეცვალა მოედანზე არსებული ვითარება და მონაწილეობა მიიღო ორივე გოლში.

## შედეგები

**18 ივნისი**

**ფეხბურთი**

**კონფედერაციის თასი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-მექსიკა | 2:2 |
| კამერუნი-ჩილე | 0:2 |

**ევროპის ჩემპიონატი (21)**

| | |
|---|---|
| გერმანია-ჩეხეთი | 2:0 |
| დანია-იტალია | 0:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ტენერიფე-კადისი | 1:0(დდ) |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ვიკინგი | 1:0 |
| მიოლდე-ტრომსო | 3:0 |
| სანდერფიორდი-სარპსბორგი | 1:0 |
| სონგდალი-ოდ გრელანდი | 0:0 |
| ჰაუგესუნდი-რუსენბორგი | 1:0 |
| ვალერენგა-სტრომგოდსეტი | 1:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| მრიეჰამნი-ჯჯკ | 2:1 |
| კუუპიო-ჰიკი | 0:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რა არის ჰიპერანდროგენემია

ეკა ირემაშვილი

ჰიპერანდროგენემია ქალებში მამაკაცური ჰორმონების – ანდროგენების სიჭარბეა, რამაც შეიძლება ორსულობას საფრთხე შეუქმნას.

რა არის ჰიპერანდროგენემია და რას უნდა მიაქციოს ყურადღება ქალმა, ამ თემებზე მედიცინის აკადემიური დოქტორი, ექიმი რეპროდუქტოლოგი, არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური დირექტორი ლალი ფხალაძე საუბრობს.


ლალი ფხალაძე

**ლალი ფხალაძე:**

– ორსულობა ქალის ცხოვრებაში ყველაზე ამაღლებული და მნიშვნელოვანი პერიოდია. დედა სიხარულით ელის შვილის დაბადებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ორსულობა სასურველი შედეგით ვერ მთავრდება. არსებობს გარკვეული საფრთხეები, რაც ორსულობის შეწყვეტის მიზეზი ხდება. ეს დიდ ფსიქოლოგიურ და ემოციურ სტრესს იწვევს. ერთ-ერთი ასეთი საფრთხეა ქალებში მამაკაცური ჰორმონების – ანდროგენების სიჭარბე, იგივე ჰიპერანდროგენემია.

***– რა რაოდენობით გამომუშავდება ქალის ორგანიზმში მამაკაცური ჰორმონები?***

– მამაკაცური ჰორმონები – ანდროგენები გარკვეული რაოდენობით ქალის ორგანიზმშიც გამომუშავდება. ანდროგენების წყარო, ძირითადად, საკვერცხეები და თირკმელზედა ჯირკვალია. სხვადასხვა დარღვევების დროს მათი ჭარბად გამომუშავება ქალის ორგანიზმში იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს, მათ შორის უშვილობას და ორსულობის შეწყვეტას – თვითნებით აბორტებს.

***– რა სიმპტომები აქვს ქალებში მამაკაცური ჰორმონების სიჭარბეს?***

– ქალებში მამაკაცური ჰორმონების სიჭარბეს ახასიათებს ჭარბთმიანობა, კანის ცხიმიანობის და ფორიანობის მატება, აკნეს ტიპის გამონაყარი, მენსტრუაციული ციკლის დარღვევა. ამ მდგომარეობას ხშირად თან ახლავს სიმსუქნე. ცხიმის გადანაწილება უპირატესად სხეულის ზედა ნაწილში, მუცლის არეში ხდება, რასაც მამაკაცური ტიპის სიმსუქნეს ეძახიან. ხშირად ვითარდება ბარძაყის შიდა ზედაპირზე კანის მუქი პიგმენტაცია, რაც ინსულინის მომატების და ინსულინორეზისტენტობის ნიშანია, ქალები კი ამას კანის ხახუნს აბრალებენ.

***– რატომ არის არასასურველი ანდროგენების სიჭარბე?***

– ანდროგენების სიჭარბე ხელს უშლის საკვერცხეში ფოლიკულის მომწიფებას, რის გამოც არ დგება ორსულობა. ხშირია ორსულობის თვითნებური შეწყვეტა – სპონტანური აბორტი.

მამაკაცური ჰორმონები ორსულობას საფრთხეს უქმნის ძირითადად 12 კვირამდე. ის იწვევს ყვითელი სხეულის ნაკლებობას. ანდროგენები ასევე მოქმედებენ საშვილოსნოს სისხლძარღვებზე და უშლიან ხელს ჩანასახის შემდგომ განვითარებას. ორსულობის შეწყვეტის საშიშროებაზე მიუთითებს სისხლიანი ჩამონაშალი სასქესო გზებიდან. საყურადღებოა მენსტრუაციისმაგვარი ტკივილის და მუცლის ქვედა არეში ძლიერი ქაჩვის შეგრძნება. ამ სიმპტომების არსებობისას, ქალმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს. დროული ჩარევის შემთხვევაში, მაღალია ორსულობის შენარჩუნების ალბათობა.

***– როგორ უნდა დადგინდეს ანდროგენების სიჭარბე?***

– მნიშვნელოვანია, რომ ანდროგენების სიჭარბე ორსულობამდე დადგინდეს. მკურნალობა ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის ქალის ორგანიზმში ანდროგენების წყარო.

ორსულობა მეტად სათუთი და გასაფრთხილებელი მდგომარეობაა, ამიტომ ფეხმძიმე ქალმა უნდა მიიღოს მხოლოდ აუცილებელი მედიკამენტები. არის შემთხვევები, როცა მკურნალობა გარდაუვალია. ასეთ დროს სასწორის მეორე მხარეს ის საფრთხეები იდება, რაც პრეპარატის არ მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს. ასეთი საფრთხეა სწორედ მამაკაცური ჰორმონების სიჭარბის დროს ორსულობის თვითნებური შეწყვეტა ანუ მუცლის მოშლა.

***– როგორ ავირიდოთ ჰორმონული დარღვევები?***

– ჰორმონული დარღვევების გამოვლინებას ხელს უწყობს უარყოფითი გარემო ფაქტორების ზემოქმედება. ჩვენი თავის ტვინი ყველანაირ გარე ფაქტორზე რეაგირებს, მისგან კი ინფორმაცია მთელ ორგანიზმს გადაეცემა. ცხოვრების დაძაბული რიტმი, დარღვეული რეჟიმი, უმოძრაობა, არასწორი კვება და სხვა, ჩვენი ორგანიზმისთვის ერთგვარი სტრესია, რაც სხვადასხვა პათოლოგიების გამოვლინებით აისახება.

ამიტომ, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას ქალის რეპროდუქციული ფუნქციის – გამრავლების, შთამომავლობის გაგრძელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ნორმალური ძილი, დაბალანსებული კვების რეჟიმი, თამბაქოსა და ალკოჰოლზე უარის თქმა, ზომიერი ფიზიკური აქტივობა, დადებითი ემოციები – ჰორმონული დარღვევების მოწესრიგების აუცილებელი წინაპირობაა.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია ქალების მხრიდან საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ მეტი ყურადღება და პრობლემების დროს ექიმის პროფესიონალური მიდგომა.



## კალეიდოსკოპი

### აკრობატი გოგონა ნიაგარის ჩანჩქერის თავზე კბილებით დაეკიდა



აკრობატმა გოგონამ ერენდირა ვალენდამ რამდენიმე ილეთი შეასრულა და ნიაგარის ჩანჩქერის თავზე თოკზე კბილებით დაეკიდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ტელეარხმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ვალენდამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ შოუმ, მიუხედავად ძლიერი ქარისა, შესანიშნავად ჩაიარა.

გოგონა 1999 წელს ცოლად გაჰყვა აკრობატსა და საჰაერო ტანმოვარჯიშე ნიკ ვალენდას. მან პოპულარობა დაზღვევის გარეშე თავისი გამოსვლების წყალობით მოიპოვა. ის თავის მეუღლეს „საჰაერო ბალერინას“ უწოდებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

### ამერიკელებმა ფიტნესში ძაღლთან ერთად ივარჯიშეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრებლებმა რეი დიასმა და ჯეფ ვიტეკმა ფიტნესში თავიანთ ვარჯიშში ფრანგული ბულდოგის ჯიშის ძაღლი ჩართეს. ვარჯიშის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინსტაგრამში გამოქვეყნდა და ის ერთ დღეღამეში 130 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

სოციალურ ქსელ ინსტაგრამში სულ დიასის გვერდს 2,2 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.



**საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობა ულოცავს კავშირის ვეტერან წევრს**

## ტიტე დევაძეს

დაბადებიდან 85 წლისთავს.

ტიტე დევაძე 1955 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იგი ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და საქმისადმი პასუხისმგებლობით. წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩაბმული პროფკავშირულ საქმიანობაში, მომუშავეთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვაში.

თავისი ამაგისა და დამსახურებისათვის 2002 წელს იგი დააჯილდოვეს ღირსების ორდენით.

პროფესიული კავშირის გამგეობა უსურვებს ტიტე დევაძეს ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს და ოჯახურ ბედნიერებას.



## შპს „საჭაშნიკე – მცხეთის სალობიე" იუბილარია. რა ჩქარა გარბის დრო! მისი დაარსებიდან 50 წელი გასულა...

სალობიეს დამფუძნებელს, ბატონ დიმიტრი ალავიძეს, დირექტორს, ბატონ ჯემალ ტოგონიძესა და მთელ შრომით კოლექტივს ვულოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, წინსვლას, ბევრ სიახლესა და უამრავ სტუმარს.

მე და ჩემი სამეგობრო გმადლობთ ყოველთვის კარგი მომსახურებისათვის, რის გამოც მუდამ სიამოვნებით მოვილტვით თქვენსკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

**თქვენდამი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, მედეა ხუციძე-მანჯგალაძე და სოფიკო გავაშელიშვილი ოჯახის წევრებით**

## ასტროპროგნოზი
### 20 ივნისისთვის



**ვერძი** – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **კურო** – მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ტყუპები** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **კირჩხიბი** – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **ლომი** – სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **ქალწული** – შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **მშვილდოსანი** – ახალი კონტაქტები სასიკეთო შედეგს გამოიღებს. თქვენი ფინანსები საკმაოდ გაიზრდება. **თხის რქა** – ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. თქვენს საქმეში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. **მერწყული** – პირობა აუცილებლად შეასრულეთ. დღეს გაამართლებს ახალი საქმის დაწყება. **თევზები** – იყავით ინდივიდუალური. სხვას ნუ მიბაძავთ. მარტოხელებს გელით რომანტიკული ნაცნობობა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 4. უდაბნოში მზარდი მცენარე; 5. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ფილიპინების დედაქალაქი; 12. მღვდლის ცოლი; 14. ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმი; 15. ვულკანი სიცილიაში; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

**თარაზულად:** 6. სასწრაფო სამუშაო გემზე, რომელიც სრულდება მთელი ეკიპაჟის მიერ; 7. მწვანეთა, ეკოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. საზღვაო მოგზაურობა; 10. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 13. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 16. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 19. ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. პარაბოლა; 8. მაკეტი; 9. კლისტრონი; 11. ასმერა; 12. კარეტა; 14. ნაიადა; 15. რარიტეტი; 20. სოფელი; 22. პიკნიკი; 23. მერი; 24. ინტერიმი; 25. სუმო; 26. არგონი; 27. პინია.

**შვეულად:** 1. კარტი; 2. ფლეიტა; 4. ბუკლეტი; 5. ტაროსი; 6. ქარავანი; 7. მიგრანტი; 10. კრედო; 12. კლიროსი; 13. კრიზისი; 16. ლივრეა; 17. ანშლაგი; 18. ბიზონი; 19. ნეგუსი; 21. ფანტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პოლიფონია; 2. ოსარა; 3. ოსიპ; 4. ოფი; 5. ანო; 6. „ამოკი“; 7. კონცხი; 8. დისკო; 9. „მინდია“; 10. ატაშე; 11. ანესთეზია; 12. ნოკდაუნი; 13. დრედნოუტი; 14. შასლა; 15. ვენა; 16. სიკოკუ; 17. კია; 18. „შვიდკაცა“; 19. ისპანახი; 20. ევრო; 21. ჰარპუნი; 22. ღორჯო; 23. ჰესე; 24. „სილვა“; 25. ოქმი; 26. ქართუ; 27. ბაირაღი; 28. ალ; 29. ხან; 30. ოზი; 31. თხა; 32. სილიკოზი.

**სურათებზე:** ჯანეტ ჯექსონი; იური ჯორკაეფი.

# თაკო გაჩეჩილაძეს ჭორებს უვრცელებენ



მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე კარგა ხანია მიეჩვია, რომ მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრში იქნება და ეს საკითხი დიდად არც აღელვებს.

თაკოზე არაერთხელ გავრცელებულა ჭორები, რომელთა გაქარწყლებაც მომღერალს აქტიურად უწევდა. გამონაკლისი არც ამჯერად მოხდა, როდესაც საინფორმაციო სააგენტოებმა მომღერალთან დაკავშირებით გაავრცელეს.

**თაკო გაჩეჩილაძე:**

– ყველას მოგესალმებით მეგობრებო! ძალიან ბევრი ადამიანი მეკითხება უკვე, როგორ ვარ, არასწორი ინფორმაციის გამო, რომელიც ჩვენ უძვირფასეს საინფორმაციო წყაროებზე გავრცელდა... მინდა ყველა დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ თავს ვგრძნობ უბედნიერესად, ვარ ბულგარეთში და ვისვენებ! მიყვარხართ! მადლობა.

# ლედი გაგამ გიორგი ქებურიას კაბა მოირგო




მსოფლიო ვარსკვლავმა ლედი გაგამ 26 წლის ქართველი დიზაინერის გიორგი ქებურიას კაბა მოირგო. ეს კაბა დიზაინერმა თბილისში გამართულ მერსედეს ბენცის მოდის კვირეულზე შემოდგომა ზამთარი 2017-2018 ჩვენების ფარგლებში წარადგინა.

ბოლო პერიოდში ქართველი დიზაინერების ნამუშევრებით სულ უფრო მეტი უცხოელი ვარსკვლავი ინტერესდება. კეტი პერი, ჯენიფერ ლოპესი, რიანა, ლედი გაგა, ბელა ჰადიდი, ჯიჯი ჰადიდი, სელენა გომესი აქტიურად იცვამენ ქართველი დიზაინერების ნამუშევრებს.

ქართველი დიზაინერის კაბაში გადაღებული ფოტო ინტერნეტში ლედი გაგამ თავად გაავრცელა.

# მარიამ ლორთქიფანიძე 95 წლისაა



ცნობილი ისტორიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე 95 წლისაა. აკადემიკოსის იუბილე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღინიშნა.

მარიამ ლორთქიფანიძის იუბილე უნივერსიტეტმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციით აღნიშნა.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში პროფესორ თედო დუნდუას საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების მე-12 ტომის პრეზენტაციაც გაიმართა, შედგა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქტორის ნინო კაკულიას დოკუმენტური ფილმის „ისტორიამ რა ჰქმნა?" ჩვენება. ფილმი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობას ეძღვნება.

მარიამ ლორთქიფანიძე რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის დაა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა და თაობებისთვის საქართველოს ისტორიის შესწავლას შეალია.

# კონსტანტინე ვარდელი გარდაიცვალა



სულხან ცინცაძის სახელობის ეროვნული სიმებიანი კვარტეტის პირველი ვიოლინო კონსტანტინე ვარდელი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ინფორმაცია მევიოლინეს გარდაცვალების შესახებ ანსამბლ „რუსთავის" წევრმა დავით გველესიანმა გაავრცელა:

– ჩემი უძვირფასესი კოტიკა ვარდელი აღარ გვყავს. უდიდესია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. პირადად მისი დამსახურებაა, მე რომ დღეს მუსიკოსი ვარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული!

კონსტანტინე ვარდელი საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის და ეროვნული პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნების ქურუმი და სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი იყო. მევიოლინეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და საზღვარგარეთ ხანგრძლივი რეაბილიტაცია ესაჭიროებოდა. მუსიკოსის დასახმარებლად მისმა კოლეგებმა საქველმოქმედო საღამოებიც ჩაატარეს, თუმცა სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## დოდო ახობაძის ხსოვნას

უკვე ორმოცი დღეა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ...

ნეტა იცოდე, როგორ გვენატრება შენი ცისფერი თვალების ნათელი მზერა, შენი კისკისი...

მართალია, ცხოვრება გრძელდება, გრძელდება საქმიანობა სამსახურშიც, მაგრამ შენი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა ძალიან დააკლდა აქაურობას.

გვენატრები, საყვარელო დოდო.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

**სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის თანამშრომლები**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის 131-ე ჯგუფის 1961 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაჯგუფელის

## ნუნუ ფხაკაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მარიამ როინიშვილი თეატრის მსახიობი გახდა



საოპერო მომღერალი მარიამ როინიშვილი დრამატული თეატრის მსახიობი გახდა.

23 ივნისს თბილისში აბრეშუმის თეატრი გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „უკომენტაროდ". თეატრი 7 წლის წინ რობერტ სტურუას მიერ დაარსდა, სადაც რამდენიმე სპექტაკლი განხორციელდა, თუმცა თეატრმა არსებობა მალევე შეწყვიტა.

აბრეშუმის თეატრი ამჯერად რეჟისორმა ნიკოლოზ საბაშვილმა და მსახიობმა ანა სანაიამ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ განაახლეს.

სპექტაკლში „უკომენტაროდ" მსახიობებთან ერთად მონაწილეობას მომღერალი მარიამ როინიშვილიც მიიღებს:

– ძალიან საინტერესო ამბავი გელოდებათ 23, 24 და 25 ივნისს „აბრეშუმის თეატრში". მოგეხსენებათ, რომ ცოტა ხნის წინ ჩემი დებიუტი შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერა „სიყვარულის ნექტარში". არ დაგიმალავთ და რასაც ახლა ვიტყვი, ცოტა მეშინია – ახლა კი ჩემი დებიუტი დრამატულ თეატრში შედგება! ვღელავ, დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი გამოწვევაა და ამავე დროს ძალიან დიდი ბედნიერება და პატივია გქონდეს ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც ასეთი პროფესიონალები არიან საქმისა, რომელსაც თავს წირავენ... დანარჩენი... დანარჩენი შემდეგ... „უკომენტაროდ"!

# რუსთავში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი დაიდგა



რუსთავის №11 საჯარო სკოლის ეზოში, ქართველი საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პუბლიცისტისა და საქართველოში სამეცნიერო პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი დაიდგა.

ბიუსტის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე კახაბერ კობერიძე, რუსთავის მერის მოადგილე დავით ლობჟანიძე, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გოჩა შავაძე, ნინო ლომიძე და სხვა მიწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ცერემონიის დასრულების შემდეგ, სკოლის მეოთხე კლასელები სტუმრების წინაშე სპეციალური ღონისძიებით წარდგნენ.

იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის ავტორი ახალგაზრდა მოქანდაკე, კახაბერ კუხალაშვილია. რუსთავის №11 საჯარო სკოლაში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის დადგმა სიმბოლურია, რადგან ეს სკოლა სწორედ იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა. სკოლას მწერლის სახელი გასულ წელს მიენიჭა.

# თბილისში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი განახლდება



თბილისში ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი განახლდება და პირვანდელ სახეს დაიბრუნებს. სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

XIX საუკუნის ისტორიულ ნაგებობას სარესტავრაციო სამუშაოები 40 წელია არ ჩატარებია. შენობის თავდაპირველი სახე საბჭოთა ეპოქის დროს ჩატარებულ რემონტს ემსხვერპლა. ადგილზე მისულ სპეციალისტებს შენობაში კედლები რამდენჯერმე გადაღებილი დახვდათ.

– როცა კედელი გავხსენით, ვნახეთ, რომ სრულად შემორჩენილია ილიასეული კედლის ფენა, თუმცა დაზიანებები აქვს. ახლა მის გასუფთავებასა და ნაკლული ადგილების შევსებაზე ვმუშაობთ. კედელს ტონირებას გავუკეთებთ, აღვადგენთ და პირვანდელ სახეს მიიღებს, – განაცხადა რესტავრატორმა დავით გაგოშიძემ.

რესტავრაცია სპეციალისტებმა ილია ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის საძინებელი ოთახიდან დაიწყეს. მწვანე შეფერილობის კედლის ორნამენტიანი ფენაც ილიას დროის უნდა იყოს. სახლში ამ ეპოქის კიდევ რამდენიმე ოთახი და შუშაბანდია. მათ აღდგენას და პირვანდელი სახის დაბრუნებას სპეციალისტები ეტაპობრივად აპირებენ.

სახლი, რომელიც მწერლის დის ელისაბედის საკუთრება ყოფილა, კომუნისტებმა კომუნალურ საცხოვრებლად გადააკეთეს, სადაც 40-მდე ოჯახი შეასახლეს და მინაშენიც რამდენჯერმე გაუკეთეს. ცნობილია, რომ სახლში, მწერლის საცხოვრებლის გარდა, „ივერიის" რედაქცია და სტამბაც ფუნქციონირებდა.

მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი ნინი სანადირაძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ სახლი თანამედროვე მუზეუმის ელფერს შეიძენს, თან ძველ იერსახესაც შეინარჩუნებს.

ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ილია ჭავჭავაძის განახლებულ სახლ-მუზეუმში 15 საგამოფენო დარბაზი, მულტიმედიური კაფე და ბიბლიოთეკა გაიხსნება.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ორ ეტაპად თბილისის მერია და თბილისის განვითარების ფონდი განახორციელებს. თბილისს კიდევ ერთი ახალი სამუზეუმო სივრცე მომავალ წელს შეემატება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სპორტი

# ხელბურთელთა ნაკრები მერვე ადგილით დაკმაყოფილდა



საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მერვე ადგილი დაიკავა ბულგარეთში გამართულ განვითარებადი ქვეყნების ჩემპიონატზე. მე-7 ადგილისთვის მატჩი ჩვენმა გუნდმა 25:32 წააგო ლუქსემბურგთან.

შეგახსენებთ, რომ ტურნირზე ზედა ასაკობრივი ზღვარი 25 წელი იყო, ამას გარდა, გუნდებს უფლება ჰქონდათ, ჰყოლოდათ ამაზე უფროსი 3 ხელბურთელი, საქართველოს ნაკრების ღირსებას კი იცავდა ცხრამეტწლამდელთა ნაკრების 12 მოთამაშე და ორიც – ახალგაზრდული (21 წლამდე) გუნდიდან.

უფროს მეტოქეებთან ბრძოლაში ჩვენებს ჰქონდათ კარგი ეპიზოდები და მთელი მატჩებიც, მაგრამ ზოგჯერ ღალატობდათ ოსტატობა და გამოცდილება, თურქეთთან მეოთხედფინალში მძიმე ბრძოლისა და წაგების შემდეგ კი დაიღალნენ კიდეც.

როგორც გავარკვიეთ, აქცენტი შეგნებულად გაკეთდა მომავალზე, ჭაბუკთა ნაკრების თორმეტმა მოთამაშემ კი ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღო წლის მთავარი ტურნირის, მსოფლიო ჩემპიონატის წინ – ეს შეჯიბრება თბილისში, ოლიმპიურ სასახლეში იმართება 8-20 აგვისტოს, ჩვენს გუნდს კი მიზნად ჯგუფური ეტაპის დაძლევა აქვს დასახული.

განვითარებადი ქვეყნების ჩემპიონატი მეორედ გაიმართა და მეორედ მოიგო ფარერის კუნძულების ნაკრებმა, ვინც ფინალში 26:25 მოუგო თურქეთს. ამ ორმა გუნდმა ნახევარფინალის მოგების შემდეგ მოიპოვა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მთავარი შესარჩევი ეტაპის საგზურები, ბოლო, 32-ე ადგილს კი ამ შეჯიბრებაში დაიკავებს კოსოვოს გუნდი, რომელმაც ბრინჯაოს ფინალში 32:25 დაამარცხა კვიპროსი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# პროგრამა

**სამშაბათი 20 ივნისი**

**შესაძლებელია ცვლილებები.** **06.00** მუსიკა პირველზე **07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკრის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.40** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.40** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ველვეტი"** **22.00** სპორტული თოქ-შოუ . სპორტი **360** **23.00, 01.00** მხ/ფ

**08.00** დოკ/ფ "ანატოლიის გარგარი" **09.00** დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **12.00, 22.00** ტ/სერ. **"კედრის ყური"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.00** დოკ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **15.00** დოკ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **17.00** დოკ/ფ "ოქროს ხანა კინომუსიკაში **1965 - 1975**" **18.00** დოკ/ფ "ბიომეტრიის ეპოქა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. **"კატერინა და მისი ქალიშვილები"**

**05.50, 14.40** სერ. **"ელიფი"** **07.30** იმედის დილა **08.00** ქრონიკა (**20** წთ) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ **"ტალღა"** **01.30** მხ/ფ **"მისი გული"** **03.30** მხ/ფ **"შიმშილის თამაშები 2"**

**06.00, 18.30** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **06.45, 19.57** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"ინდური საგა"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

**08.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. **"ერთხელ ზღაპარში"** **13.00** სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები"** **15.00** სერ. **"ანტიმაფია"** **17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** **19.00** სერ. **"შავი სია"** **21.00** სერ. **"მაფიოზა"** **22.30** მხ/ფ **"თომას ქრაუნის აფერა"** **00.35** მხ/ფ **"კოკაინი"** **02.55** მხ/ფ **"ჩემი პირადი აიდაჰო"** **04.50** მხ/ფ **"საწოლში მტერთან"** **06.40** მხ/ფ **"თამაში წესების გარეშე"**

იბერია **08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. **"ღმერთების ხელდასხმული"** **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50, 22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** " **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40** ახალი ამბები **11.25** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" VII ნაწ. **11.50** ავტომანი **12.05** მოდი გავიყაროთ **13.00, 03.55** ბიზნესკოდი **15.00** **3**-დან **5**-მდე **16.20** დოკ/ფ "უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები" ნანსენი **ll** ნაწ. **18.00, 0.00** ფაბრიკა **20.00, 02.55** პრიორიტეტი **21.10** კიჭილიქსი **21.30** კრაზანა **1.00** მხ/ფ **"ტყუილი და ილუზია"**

**06.10** სპექტაკლი-**"საქართველოს უკანასკნელი დედოფალი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკიიძულებით მტირალის შესახებ **10.40** დ/ფ "კეთილმოწყალე უფალი" I **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ **"უცხო ფრინველი"** **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ "ველური ბუნება"-ზებრები **15.45** კონცერტი **16.30** სიმღერის კვალდაკვალ-"მთიები" **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "ქართული წიგნის ყდის გაფორმება" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** დ/ფ "ფიქრები წარსულსა და მომავალზე-ილია II" **20.00** ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა "ნაცარქექია" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "სინას მთის ქართული მემკვიდრეობა" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4106 | ევრო — 2.6941 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0783 | 100 რუსული რუბლი — 4.1834 |

## ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის







## 6 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

## გამქრალი ოცნებანი

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## იუმორი



არაბ შეიხს, რომელსაც უიშვიათესი ჯგუფის სისხლი ჰქონდა, სასწრაფოდ დასჭირდა სისხლის გადასხმა. იმავე ჯგუფის სისხლი ერთ სომეხს აღმოაჩნდა. სისხლი გადაუსხეს. გამომჯობინების შემდეგ შეიხმა გადამრჩენელს დიდი სახლი და მაგარი მანქანა აჩუქა.

ერთი წლის შემდეგ ისტორია გამეორდა, სომეხმა დიდი სიხარულით მიირბინა და სისხლი ისევ გადაუსხა. გამომჯობინების შემდეგ არაბმა შეიხმა სომეხს ორცხობილის შეკვრა აჩუქა. გაოგნებული სომეხი ეუბნება:

– კი მაგრამ, ადრე სახლი და მანქანა მაჩუქე და ახლა – მხოლოდ ორცხობილა!..

– მაშინ სომხის სისხლი არ მქონდა, ახლა კი...

•••

პატრულმა ავტოსადგომთან ჩაიარა და ხედავს, გაჩერებულ მანქანაში ბიჭი და გოგო სხედან. ახლოს მივიდა და ხედავს, ბიჭი ჟურნალს კითხულობს, ხოლო გოგო წინდებს ქსოვს.

გაკვირვებული პატრული ბიჭს ეკითხება:

– რას აკეთებ?

– ვერ ხედავ, ჟურნალს ვკითხულობ.

– და ის?

– წინდებს ქსოვს.

– რამდენი წლის ხარ?

– ცხრამეტის.

– და გოგონა?

ბიჭმა საათს დახედა და უპასუხა:

– ათ წუთში თვრამეტის გახდება.

•••

დიდი ხნის უნახავი ქალი და კაცი შეხვდნენ ერთმანეთს. ქალი ეუბნება:

– ასე დიდხანს იმიტომ არ ვჩანდი, რომ ძალიან მოგნატრებოდი.

– ჰოდა, აი, გაიცანი, ჩემი შვილიშვილები არიან...

•••

რუსეთის პრეზიდენტს პირდაპირ ეთერში დაახლოებით ორი მილიონი შეკითხვა გაუგზავნეს. გინების მოშორების შემდეგ 73 დარჩა.

•••

კაცი ღმერთს ეკითხება:

– ღმერთო, რატომაა, რომ ყველა გოგონა ნაზი, ალერსიანი, მომხიბვლელია, ხოლო ყველა ქალი – აუტანელი და ალქაჯი?

– გოგონებს მე ვქმნი, ქალებად კი თქვენ გადააქცევთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



## 15 ივნისიდან

ფილიპ ჩესტერფილდი

## წერილები ჩემს ვაჟს

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



## 21 ივნისიდან

ილია ილფი, ევგენი პეტროვი

## თორმეტი სკამი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## კილიან მბაპეს რეალში თამაში სურს



მონაკოს ახალგაზრდა ვარსკვლავს კილიან მბაპეს მადრიდის რეალში სურს თამაში. მბაპემ განაცხადა, რომ მონაკოში ბედნიერია, მაგრამ თუ მან ამ გუნდის დატოვება გადაწყვიტა, მაშინ მხოლოდ რეალში გადავა სათამაშოდ.

– მონაკოს დატოვებას ჯერჯერობით არ ვაპირებ, თუმცა ვაღიარებ, რომ რეალი ძალიან მომწონს და იქ თამაში ჩემი ოცნებაა. მომავალზე ბევრი ფიქრი არ მიყვარს და ამჟამად მხოლოდ მონაკოზე ვფიქრობ, – განაცხადა მბაპემ.

კილიან მბაპე ჯერჯერობით მხოლოდ 18 წლის არის და ის ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. მისი შეძენით ბევრი ევროპული ფეხბურთის გრანდია დაინტერესებული.

## მარკო ვერატი პსჟ-დან მიდის



იტალიელმა ფეხბურთელმა მარკო ვერატიმ პსჟ-ს დატოვება გადაწყვიტა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან პსჟ-ს მფლობელს შეატყობინა, რომ ის პარიზში დაბრუნებას აღარ აპირებს.

ვერატის წასვლის მთავარი მიზეზი ბარსელონაა, სადაც მარკოს სურს კარიერის გაგრძელება. ბარსელონა თავის მხრივ ცდილობს, რომ ვერატის ტრანსფერის თაობაზე პსჟ-ს შეუთანხმდეს, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთება ვერ ხერხდება, რადგან ფრანგული კლუბი 100 მილიონ ევროს ითხოვს, ხოლო ბარსელონას ამდენის გადახდა არ სურს.

მიუხედავად ამისა, ეს ტრანსფერი სავარაუდოდ მაინც შედგება, რადგან ვერატის ბარსელონაში სურს თამაში.

## კრიშტიანო რონალდუ რეალიდან შესაძლო წასვლაზე კომენტარს არ აკეთებს



ბოლო დღეებში ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ კრიშტიანო რონალდუ რეალიდან წასვლას აპირებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ რონალდუ გადასახდების გადაუხდელობაში დაადანაშაულეს, რის გამოც მან ესპანეთის დატოვება გადაწყვიტა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კრიშტიანო გაბრაზებულია რეალზე, რომელმაც მას ამ ვითარებაში მხარი არ დაუჭირა. თვითონ პორტუგალიელი ვარსკვლავი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს, რაც ეჭვებს უფრო ამძაფრებს.

რონალდუს მომავალი კლუბი შესაძლოა პსჟ ან მანჩესტერ იუნაიტედი გახდეს. შეგახსენებთ, რომ რეალში გადასვლამდე რონალდუ სწორედ მანჩესტერ იუნაიტედის ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლუკა მოდრიჩს ციხე ემუქრება



მადრიდის რეალის ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი სასამართლოზე ცრუ ჩვენების მიცემის გამო შესაძლოა ციხეში ჩასვან.

საქმე ეხება ზაგრების დინამოს ყოფილ პრეზიდენტ ზდრავკო მამიჩის სასამართლო პროცესს, სადაც მოდრიჩმა ერთ-ერთი გადამწყვეტი ჩვენება მისცა. მამიჩს 20 მილიონის მითვისებაში ედებოდა ბრალი. ხორვატიის პროკურატურა თვლის, რომ მოდრიჩმა ცრუ ჩვენებები მისცა სასამართლოს და ლუკას გამოძიებასთან თანამშრომლობა მოუწევს. მოდრიჩი ზაგრების დინამოში 2008 წლამდე თამაშობდა. სწორედ ამ წელს ის ლონდონის ტოტენჰემმა იყიდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონა“-ს ფეხბურთელი; 2. სამონასტრო კომპლექსი ოჩამჩირეს რაიონში; 3. ორსართულიანი ლაზური სახლი; 5. ფალსიფიცირებული ღვინის ძველებურ სახელწოდება; 6. ძალიან იშვიათი ნივთი; 9. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ეკლესიის მნათეს ძველებური სახელწოდება; 11. მრავალცოლიანობა; 14. ინგლისის პრემიერ მინისტრი; 16. კროსვორდის გამომგონებელი; 18. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

**თარაზულად:** 1. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 4. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 7. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 8. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 15. ცხარე საწებელა; 17. ბატონი, მემამულე შუა-აზიაში ძველად; 19. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 20. საჭმელი სოკო; 21. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ნორვეგიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*